



საქართველოს  
სახალხო დამცველი

unicef   
for every child

# სპეციალური ანგარიში

ბავშვთა შრომა ახალი კორონა  
ვირუსის პანდემიის პირობებში  
და მის მიღმა

მეთოდოლოგიის და სამაგიდე კვლევის ავტორი: ანა დიაკონიძე  
©საქართველოს სახალხო დამცველი | 2021

---

ანგარიში მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით. მასში  
გამოთქმული მოსაზრებები, არ არის აუცილებელი, ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის  
ოფიციალურ თვალსაზრისს.

---

# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	<b>4</b>
<b>კვლევის მეთოდოლოგია</b> .....	<b>5</b>
<b>ძირითადი მიგნებები</b> .....	<b>6</b>
<b>1.საერთაშორისო სტანდარტები ბავშვთა შრომის სფეროში</b> .....	<b>8</b>
1.1. „ბავშვთა შრომის“ განმარტება .....	8
1.2. ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები .....	9
1.3. სამუშაოზე დაშვების მინიმალური ასაკი და სამუშაო პირობები .....	11
1.3.1.მინიმალური ასაკი .....	11
1.3.2.სამუშაო პირობების რეგულირება .....	11
<b>2. ადგილობრივი კანონმდებლობა და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტთან</b> .....	<b>12</b>
<b>3. ბავშვთა შრომა საქართველოში: პრაქტიკული კვლევის შედეგები</b> .....	<b>16</b>
3.1.ბავშვთა შრომის განმაპირობებელი ფაქტორების მიმოხილვა .....	17
3.2.ბავშვთა შრომა შინამეურნეობებსა და სოფლის მეურნეობაში .....	19
3.3.ქუჩაში და ტურისტულ სეზონზე შრომა .....	21
3.4.ბავშვთა შრომითი მიგრაცია .....	23
3.5.ფორმალურ სექტორში ბავშვთა შრომა .....	25
3.6.ბავშვთა შრომა და განათლების უფლების დარღვევა .....	27
3.7.კოვიდ 19-ის გავლენა ბავშვთა შრომაზე .....	29
3.8.სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობა .....	30
<b>დასკვნა</b> .....	<b>32</b>
<b>რეკომენდაციები</b> .....	<b>32</b>

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში საქართველოს სახალხო დამცველის<sup>1</sup> მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის, „ბავშვთა შრომა ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში და მის მიღმა“, ძირითად მიგნებებს წარმოგიდგენთ.

კვლევა საქართველოს ოთხ რეგიონში<sup>2</sup> ჩატარდა და ბავშვთა შრომის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკაში არსებული საჭიროებების მიმოხილვას აერთიანებს; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც კოვიდ 19-ის პანდემიამდე არსებული სიტუაციის ანალიზს, ისე პანდემიის ზეგავლენის ეფექტის დადგენას ბავშვთა შრომაზე; საჭიროებების შეფასებასთან ერთად წარმოგიდგინებთ პასუხისმგებელი უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციები.

მსოფლიოში უამრავი ბავშვია ჩართული შრომის ისეთ ფორმებში, რომელიც აფერხებს მათ ფსიქო-ფიზიკურ განვითარებასა და განათლების მიღების შესაძლებლობას. სიღარიბე და ეკონომიკური სიდუხჭირე ბავშვთა შრომის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) 2020 წლის კვლევის თანახმად, მსოფლიოში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი 40-დან 60 მილიონამდე იზრდება; კოვიდ 19 პანდემიის პირობებში მსოფლიო მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი 2020 წლის პირველ კვარტალში 20%-ით გაიზარდა; შედეგად, ბავშვები კიდევ უფრო მოწყვლადები გახდნენ ამ პრობლემის მიმართ.<sup>3</sup>

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ბავშვები ხშირად არიან დასაქმებულნი როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სექტორში; შესაძლოა, მუშაობდნენ შინამეურნეობებში, როგორც საკუთარ, ისე სხვის ოჯახში დამხმარეებად, დამლაგებლებად და ა.შ. კოვიდ 19 პანდემიის პერიოდში მსოფლიოში ბავშვთა სიღარიბის საკითხი კიდევ უფრო პრობლემური გახდა; გაიზარდა ბავშვების შრომის მავნე ან/და მძიმე ფორმებში ჩართულობის რისკები.<sup>4</sup> მსგავსი ტენდენციაა გავრცელებული საქართველოშიც, სადაც ბავშვთა შრომა და მათი დაცვა შრომის უკიდურესი ფორმებისგან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ევროკავშირის დირექტივა (94/33/EC) „სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ“,<sup>5</sup> განმარტავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ ბავშვთა (15 წლამდე პირთა) დასაქმება. დაშვებულია გარკვეული გამონაკლისები კულტურულ, მხატვრულ, სპორტულ ღონისძიებებსა და სარეკლამო საქმიანობასა თუ სხვა მსუბუქ საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირის არანევრი ქვეყნებისთვისაც, მათ შორის, საქართველოსთვის,<sup>6</sup> ვინაიდან ადგენს უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს არასრულწლოვანთა შრომის სფეროში, რაც სახელმწიფოებმა თავიანთი შიდა კანონმდებლობების ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპადაც უნდა გამოიყენონ. საქართველოში არასრულწლოვანთა შრომის შესახებ ეროვნული კვლევები და სტატისტიკური ინფორმაცია მწირია; შეიძლება ითქვას, ეს საკითხი არსებითად ნაკლებად არის შესწავლილი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის ანგარიშის

1 „ბავშვის უფლებების კოდექსის“ მიხედვით, განისაზღვრა სახალხო დამცველის აპარატის საპროგრამული უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების აღსრულებაზე ზედამხედველობას, ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, შესწავლასა და მათზე სათანადო რეაგირებას.

2 აჭარა, გურია, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი.

3 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3pjAiaf> [ბოლოს ნანახია: 22.01.2021]

4 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qRXnkQ> [ბოლოს ნანახია: 22.01.2021]

5 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qRXnkQ> [ბოლოს ნანახია: 22.01.2021]

6 დოკუმენტის, „ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 228 მუხლისა და 229 მუხლიდან „მრავალმხრივი შრომითი სტანდარტები და შეთანხმებები“, გამომდინარე, „მხარეები ვალდებულია იღებენ პატივი სცენ, ხელი შეუწყონ და ასახონ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში და მთელს ტერიტორიაზე საერთაშორისოდ აღიარებული შრომის ძირითადი სტანდარტები“. [ბოლოს ნანახია: 22.01.2021]

მიხედვით,<sup>7</sup> ბავშვთა შრომაში ჩართულთა რაოდენობა 5-დან 17 წლამდე მოსახლეობის 4.2%-ს შეადგენდა; საუბარია დაახლოებით 24 400 ბავშვზე, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა უმეტეს შემთხვევაში ზიანს აყენებს მათ ჯანმრთელობას, სოციალურ განვითარებას და ხელს უშლის სწავლაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ კვლევის შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს გაიზიარებენ პასუხისმგებელი უწყებები, რაც გააუმჯობესებს საქართველოში ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა სამაგიდე და თვისებრივი კვლევის მეთოდი. **პირველ ეტაპზე**, სამაგიდე კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა ბავშვთა შრომის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ნორმები და მათთან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობა. კვლევის **მეორე ეტაპზე**, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის საფუძველზე, ჩატარდა ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები სამიზნე ჯგუფებთან, საქართველოს 4 რეგიონში: აჭარა, გურია, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი.

კვლევის მიზნებისთვის, ტერმინი „ბავშვი“ მიემართება 5-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს. ვინაიდან ქართული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ისეთ ცნებებს, როგორცაა „ბავშვთა შრომა“, „სახიფათო შრომა“ და „შრომის უკიდურესი ფორმები“, მოცემულ კვლევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებულია მათი საერთაშორისო განსაზღვრების მიხედვით.

### პრაქტიკული კვლევის მიზნებისათვის განისაზღვრა ოთხი ძირითადი მიმართულება:

- ბავშვთა შრომის სპეციფიკის შესწავლა შინამეურნეობებში, რაც მოიცავს ოჯახში განუღ და სოფლის მეურნეობის სფეროში შრომას;
- ბავშვთა შრომის სპეციფიკის ანალიზი ფორმალურ სექტორში (დაქირავებული შრომა);
- ბავშვთა შრომის სპეციფიკის შესწავლა არაფორმალურ სექტორში - ქუჩაში შრომა, შრომა ტურისტულ სეზონზე და ტურისტულ ადგილებში, ასევე, სხვა ნებისმიერი არაფორმალური დასაქმების შემთხვევები;
- ბავშვთა შრომითი მიგრაცია.

### პრაქტიკული მოკვლევის ფარგლებში ჩატარდა 36 შეხვედრა და 2 ინტერვიუ,

#### შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- ბავშვთა საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები და დონორები;
- ბავშვთა ზრუნვის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები (მერია, მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური მუშაკები);
- 15-დან 17 წლამდე მოზარდები;
- სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტირებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები.

7 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2Mqnn7W> [ბოლოს ნანახია: 22.01.2021]

## ძირითადი მიზნები

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა შრომა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში; სიღარიბის, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ცხოვრების არასათანადო დონის, უგულვებელყოფისა თუ სხვადასხვა სოციალური ფაქტორის გამო, ბავშვებს უწევთ, მათი ასაკისა და განვითარებისათვის საფრთხის შემცველ სამუშაოში ჩაერთონ. მიუხედავად საკითხის სიმწვავისა, სახელმწიფო ამ პრობლემაზე ეფექტიანად არ რეაგირებს; პასუხისმგებელ უწყებებს ამ დრომდე არ აქვთ შემუშავებული რეაგირების სათანადო მექანიზმი და პრევენციის ბერკეტი; ამასთან, არ არსებობს რისკების შეფასების მექანიზმი. შედეგად, არასრულწლოვანთა შრომაზე ეფექტიანი კონტროლი ვერ ხორციელდება.

გარდა პრაქტიკაში არსებული პრობლემებისა, კვლევამ ნათლად დაგვანახა საკანონმდებლო სივრცის მონესრიგების საჭიროებაც. იმისთვის, რათა ბავშვთა შრომის აღმოფხვრის კუთხით გატარებული აქტივობები ემედიოთ და შედეგიანი იყოს, პირველ რიგში, აუცილებელია, ადგილობრივი კანონმდებლობა და ნორმები შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმი გახდეს უფრო მოქნილი.

### კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები:

- არასრულწლოვანთა შრომის მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობა მინიმალურ დონეზე, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში ადგენს არასრულწლოვან დასაქმებულთა უფლებების დაცვის სათანადო სტანდარტს, თუმცა კვლავ იკვეთება გამოწვევები და საჭიროებები, შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად დასაახლოებლად, კერძოდ:
  - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაბამისი სტანდარტებით, დაუშვებელია არასრულწლოვანთა ზეგანაკვეთური შრომა, თუმცა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით და ზღვრული სამუშაო საათების დაცვით, დაშვებულია, რაც შსო-ს შესაბამის ნორმას არ შეესაბამება;
  - ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, არასრულწლოვანთა სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა რეგულირდება იმის მიხედვით, სასკოლო პერიოდი თუ დასვენების, ასევე, ცალკე რეგულირდება ის შემთხვევები, როდესაც ბავშვის შრომა სასწავლო პრაქტიკის ნაწილია. საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, დადგენილი სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა არ ითვალისწინებს მსგავს დიფერენციაციას, რის შედეგადაც კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სკოლის მოსწავლემ საქართველოში სასკოლო საათებს მიღმა კვირის განმავლობაში იმაზე მეტი (მაქს. 36 საათი) იმუშაოს, ვიდრე ეს დირექტივის მიხედვით (მაქს. 12 საათი) არის დაშვებული;
  - საქართველოს შრომის კოდექსი სამუშაო დღის განმავლობაში შესვენებას ყველასთვის ერთი პრინციპით ადგენს (6 საათზე მეტი ხნით მუშაობის შემთხვევაში, 60-წუთიანი შესვენება). შესვენების ნორმა ცალკე არ არის განსაზღვრული 18 წლამდე პირების შემთხვევაში. ევროკავშირის დირექტივის მიხედვით კი, 4.5 საათზე მეტის მუშაობის შემთხვევაში, ბავშვს 30 წუთიანი შესვენება ეკუთვნის.
- საქართველოში ბავშვთა შრომა და შრომის უკიდურესი ფორმებისგან არასრულწლოვანთა დაცვა პრობლემური იყო როგორც კოვიდ 19-ის პანდემიამდე, ისე პანდემიის შემდგომ პერიოდშიც; ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტთა თანახმად, პანდემიის შემდგომ პერიოდში შემცირდა შრომითი მიგრაციის და ფორმალურ სექტორში დასაქმებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა;

- კოვიდ 19-ის პირობებში, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საერთო ფონის გათვალისწინებით და ბავშვთა სიღარიბის რისკების ზრდის პარალელურად, მოიმატა შრომით საქმიანობაში ბავშვების ჩართვის რისკმა;
- ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციით, რეგიონებში გავრცელებული პრაქტიკაა შინა მუშაობებში, სეზონურ სამუშაოებში არასრულწლოვნების ჩართვა, რაც რისკის ქვეშ აყენებს ბავშვების განვითარებას, განათლებაზე მათ წვდომას; გამოვლინდა ბავშვების მიერ სიღარიბისგან თავის დაღწევის მიზნით ისეთი მძიმე სამუშაოების შესრულება, როგორცაა ჯართის შეგროვება, სატვირთო მანქანებზე მუშაობა, მესაქონლეობასა და მინათმოქმედებასთან დაკავშირებული სამუშაოების რეგულარული შესრულება;
- დამკვიდრებული პრაქტიკაა არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაცია. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ხშირად მიუთითებდნენ საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის დროს ბავშვების მიერ მძიმე და დიდი დატვირთვის სამუშაოების შესრულებაზე. რესპონდენტთა ნაწილი მიუთითებდა ბავშვებისთვის გაცემული შრომის ანაზღაურების სიმძირზე და ადგილზე არსებულ არასათანადო საცხოვრებელ პირობებზე;
- ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფები<sup>8</sup>, რომლებიც შედგება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, თანასწორგანმანათლებლისა და მძღოლისგან, არ ფუნქციონირებენ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორცაა ბათუმი, ქობულეთი, თელავი, ახალციხე და ა.შ.;
- პრობლემურია შრომით საქმიანობაში ჩართვის გამო ბავშვების მხრიდან სკოლის მითვება და სისტემური გაცდენა; სეზონურ სამუშაოებში, შინამეურნეობებსა და დროებითი შრომითი მიგრაციის დროს, არასრულწლოვნები არ არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები, პედაგოგები და ადმინისტრაცია, რიგ შემთხვევაში, არ აღრიცხავენ სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობის ფაქტებს და მიზეზებს; შედეგად, შრომით საქმიანობაში ბავშვების ჩართვის ყველა შემთხვევა არ აღრიცხება და რეაგირების მიღმა რჩება;
- დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ბავშვთა შრომითი უფლებებისა და შრომის საზიანო ფორმებისგან დაცვის საკითხებზე; მოსახლეობა, რიგ შემთხვევაში, შემწყნარებლურია მსგავსი ფაქტების მიმართ; განსაკუთრებით პრობლემურია ბავშვებზე მზრუნველ პირთა (მშობელთა) დამოკიდებულება ბავშვების თავისუფალი დროით სარგებლობის, დასვენებისა და განვითარების უფლების რეალიზების მიმართ;
- არასრულწლოვანთა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის პრობლემები ფართოდაა გავრცელებული რეგიონებშიც, რაც გამოიხატება როგორც მოწყალეობის თხოვნაში, ისე - წვრილმანი ნივთებით ვაჭრობაში, ან მომსახურების სამუშაოებში მონაწილეობით; ვერ ხერხდება ქუჩაში ბავშვთა შრომის აღმოფხვრა, არასრულწლოვანთა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის დროული აღკვეთა, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა საჭიროებების ჯეროვანი გამოვლენა;
- არასათანადო რეაგირების მექანიზმის გამო, პრაქტიკაში პასუხისმგებელი უწყებები, ვერ ახერხებენ ბავშვთა შრომის, განსაკუთრებით კი, შრომის მძიმე შემთხვევების სათანადო კონტროლს და დროულ რეაგირებას, განსაკუთრებით, არაფორმალურ შრომით საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევებზე;
- თემსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულია სტერეოტიპული დამოკიდებულება გოგონებისა და ბიჭებისათვის ე.წ. „შესაფერისი“ სამუშაოს დაკისრების სახით; ამდენად, გამოიკვეთა განსხვავებები შრომის გენდერული ანალიზის ქრილშიც.
- არასათანადო რეაგირების მექანიზმის გამო, პრაქტიკაში პასუხისმგებელი უწყებები, ვერ ახერხებენ ბავშვთა შრომის, განსაკუთრებით კი, შრომის მძიმე შემთხვევების სათანადო კონტროლს და დროულ რეაგირებას, განსაკუთრებით, არაფორმალურ შრომით საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევებზე;
- თემსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულია სტერეოტიპული დამოკიდებულება გოგონებისა და ბიჭებისათვის ე.წ. „შესაფერისი“ სამუშაოს დაკისრების სახით; ამდენად, გამოიკვეთა განსხვავებები შრომის გენდერული ანალიზის ქრილშიც.

8 3 ქალაქში ფუნქციონირებს მობილური ჯგუფები - თბილისი, ქუთაისი და რუსთავი.

# 1. საერთაშორისო სტანდარტები ბავშვთა შრომის სფეროში

არასრულწლოვანთა შრომის შესახებ არსებული საერთაშორისო სტანდარტები უმთავრესად მოიცავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ ჩარჩო დოკუმენტებს, ევროკავშირის დირექტივებსა და ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ საერთაშორისო აქტებს. ვინაიდან, დღესდღეობით ბავშვთა შრომა საკმაოდ მწვავე საკითხია, ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები კომპლექსურად, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩო დოკუმენტების, ისე სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი აქტების კონტექსტში, უნდა განიხილებოდეს.

ბავშვთა შრომის თემატიკაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში - შსო) არაერთი კონვენცია და რეკომენდაცია აქვს შემუშავებული. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კონვენცია „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ“<sup>9</sup> (C182, 1999), ასევე, შსო-ს 138-ე კონვენცია „სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკის შესახებ“<sup>10</sup>. ამ საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე სახელმწიფოს ეკისრება კონკრეტული ვალდებულება, შიდა კანონმდებლობა საერთაშორისო ნორმებს მიუსადაგოს და მოარგოს.

წინამდებარე თავში განხილულია ბავშვთა შრომის სფეროში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა და მოცემულია ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში საჭირო ცვლილებების ანალიზი.

## 1.1 „ბავშვთა შრომის“ განმარტება

საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, განსხვავებული დატვირთვის მატარებელი ტერმინები „ბავშვთა ეკონომიკური საქმიანობა“ და „ბავშვთა შრომა“. ბავშვთა შრომა უარყოფითი დატვირთვის მატარებელი ტერმინია და გამოხატავს ბავშვთა ისეთ აქტივობას, რომელიც არასასურველია და საჭიროებს აღმოფხვრას.

მაშინ როდესაც, ბავშვთა ეკონომიკური საქმიანობა, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში ნახალისებელიც იყოს. კერძოდ, ეკონომიკური აქტივობა, რომელიც უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს მათ ჯანმრთელობასა და პერსონალურ განვითარებაზე, შეიძლება მოიცავდეს ისეთ საქმიანობას, როგორცაა სახლში მშობლების დახმარება, საოჯახო ბიზნესში იმ ტიპის დახმარება, რომელიც არ აზიანებს ბავშვის ფიზიკურ ჯანმრთელობას, განვითარებას; ამ ტიპის აქტივობა, ხშირად, ბავშვის პიროვნული განვითარების, დამატებითი უნარ-ჩვევების გამომუშავების, გამოცდილების მიღებისა და „ჯიბის ფულის“ გამომუშავების საშუალებაა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია „ბავშვთა შრომას“ განსაზღვრავს, როგორც **შრომას, რომელიც საზიანოა ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის.**<sup>11</sup>

უფრო კონკრეტულად, იგი მოიცავს:

- შრომას, რომელიც ფიზიკურად, მორალურად და სოციალურად საზიანოა ბავშვისთვის;
- შრომას, რომელიც ხელს უშლის სწავლის პროცესს: არ აძლევს ბავშვს საშუალებას, დაესწროს გაკვეთილებს, აიძულებს სკოლის ნაადრევ მიტოვებას ან მისგან მოითხოვს, ერთმანეთს შეუთავსოს სწავლისა და მუშაობის ძალიან ხანგრძლივი საათები.

9 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cbdV2V> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

10 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iOZkf6> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

11 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/39ZTL9s> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]



შსო აღნიშნავს, რომ კონკრეტული შემთხვევების კლასიფიცირება „ბავშვთა შრომად“ დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, სამუშაოს ტიპსა და ნამუშევარი საათების რაოდენობაზე, იმაზე, თუ რა პირობებში უწევს მას მუშაობა და რა ინდივიდუალური მიზნები აქვს დასახული კონკრეტულ ქვეყანას ბავშვთა შრომის აღმოფხვრის თვალსაზრისით. ამდენად, პასუხი კითხვაზე, თუ კონკრეტულად რას წარმოადგენს ბავშვთა შრომა, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და თითოეული ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორს შორის.<sup>12</sup>

ამავე საკითხს ეხმიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებიც; მერვე მიზნის (ღირსეული სამუშაოსა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა) მე-7 ქვეპუნქტი თანამედროვე მონობის, ტრეფიკინგისა და ბავშვთა შრომის დასრულებას ეხება და ქვეყნებს მოუწოდებს, მიიღონ მყისიერი და ეფექტიანი ზომები იძულებითი შრომის, თანამედროვე მონობისა და ტრეფიკინგის აღმოსაფხვრელად, უზრუნველყონ ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვა და 2025 წლისათვის ბავშვთა შრომის ყველა ფორმის აღმოფხვრა.<sup>13</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“ (1989)<sup>14</sup>, 32-ე მუხლით განსაზღვრავს, რომ ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ისეთი ტიპის სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც დამაზიანებელია და ხელს უშლის განათლების მიღებას, საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის. კონვენცია ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს, თავად შეიმუშაონ შესაბამისი რეგულაციური ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ამ პრინციპების გატარებას. კერძოდ, ქვეყნებმა უნდა:

- განსაზღვრონ სამუშაოზე დაშვების მინიმალური ასაკი;
- დაარეგულირონ სამუშაო საათები და პირობები;
- და დანესებული რეგულაციის დარღვევის შემთხვევებისთვის, დანერგონ შესაბამისი სანქციები, რათა უზრუნველყონ კანონის აღსრულება.

## 1.2 „ბავშვთა შრომის“ უკიდურესი ფორმები

შსო-ს კონვენცია „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის შესახებ“<sup>15</sup> (C182, 1999), მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გაატარონ პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიებები შრომის უკიდურესი ფორმების აღმოსაფხვრელად; ამავდროულად მიმართონ სარეაბილიტაციო და სოციალური ინტეგრაციის ზომებს ასეთი ტიპის შრომაში ჩართული ბავშვებისათვის; ასევე მონიტორინგის მექანიზმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კონვენცია ბავშვთა უკიდურესი შრომის სახეობად მოიაზრებს:

- მონობა და მისი მსგავსი პრაქტიკები, როგორცაა, მაგალითად, ბავშვებით ვაჭრობა და ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა (მათ შორის, აღებული სესხის სანაცვლოდ, უფასოდ მუშაობა (debt bondage) და/ან იძულებით სამხედრო სამსახურში ჩაყენება);
- ბავშვის გამოყენება ან სხვისთვის შეთავაზება პროსტიტუციისა და პორნოგრაფიული მიზნებისათვის;

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iOZy5W> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

<sup>14</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/36aLA9m> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

<sup>15</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cbdV2V> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

- ბავშვების გამოყენება არაზნეობრივი საქმიანობისათვის: მაგალითად, იარაღის წარმოებისა და მისი დისტრიბუციისათვის;
- სახიფათო შრომა - შრომა, რომელმაც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და ა.შ.

ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები, თავის მხრივ, იყოფა „უპირობო უკიდურეს შრომად“ და „სახიფათო შრომად“. უპირობო უკიდურესი ფორმები მიემართება ზემოთ ჩამოთვლილ შრომის სახეებს და უპირობოდ უკიდურესად ინოვაციურ, რადგანაც მათი განხორციელება ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება მისაღებად; მათი უმეტესობა არალეგალურ საქმიანობას წარმოადგენს, შესაბამისად, მიუღებელია არამართო ბავშვის, არამედ ზრდასრულის შემთხვევაშიც. ინდივიდუალურ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ პრეროგატივა, დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ, რა წარმოადგენს ბავშვთა შრომის უპირობოდ უკიდურეს ფორმას და რა - არა; ამ შემთხვევაში მინიმალური და სავალდებულო სტანდარტია, რომ ბავშვთა შრომის „უპირობო უკიდურესი“ ყველა ფორმა აიკრძალოს და აღმოიფხვრას ეროვნულ დონეზე.

რაც შეეხება ტერმინს, „ბავშვთა სახიფათო შრომა“, მიუხედავად იმისა, რომ შსო გვთავაზობს მის განმარტებას, სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, ეროვნულ დონეზე თავად დაადგინონ, თუ რა შეიძლება კლასიფიცირდეს მსგავსი სახის შრომად. უფრო კონკრეტულად კი, შსო-ის 190-ე რეკომენდაციის<sup>16</sup> მესამე მუხლი სახიფათო შრომას განმარტავს, როგორც:

- სამუშაოს, რომელიც ბავშვებს აყენებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური შევიწროების რისკის ქვეშ;
- მუშაობა მიწის და/ან წყლის ქვეშ, სახიფათო სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეებში;
- სახიფათო მექანიზმებთან/ინსტრუმენტებთან მუშაობა ან მძიმე ტვირთის გადაზიდვა;
- არაჯანსაღ გარემოში მუშაობა, რაც მოიცავს მავნე ნივთიერებებთან შემხებლობას, მუშაობას არაადეკვატურ ტემპერატურაზე (ზედმეტი სიცხე ან ზედმეტი სიცივე) და/ან ხმაურისა და ვიბრაციის გარემოში;
- მძიმე სამუშაო პირობებით მუშაობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში; ღამით მუშაობა.

ზოგიერთ შემთხვევაში, სახიფათო სამუშაოს პირობები შეიძლება ისეთ ცვლილებას ექვემდებარებოდეს, რომ „სახიფათო“ ელემენტი მოიხსნას. მაგალითად, თუკი მოზარდი დანადგართან დამცავი აღჭურვილობის გარეშე მუშაობს, აღჭურვილობის მიცემით, მისი შრომა შეიძლება აღარ ჩაითვალოს „სახიფათოდ“. სახიფათო შეიძლება იყოს ზოგიერთი პროფესია თავისი ბუნებით, ან მხოლოდ კონკრეტული დავალებები სხვადასხვა პროფესიის შიგნით. ეს უკანასკნელი შემთხვევა გაცილებით უფრო მარტივი აღმოსაფხვრელია, ვიდრე პირველი.<sup>17</sup>

## 1.3. სამუშაოზე დაშვების მინიმალური ასაკი და სამუშაო პირობები

<sup>16</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YgEYSs> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

<sup>17</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3iKHwlf> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

### 1.3.1. მინიმალური ასაკი

შსო-ის 138-ე კონვენცია „სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკის შესახებ“<sup>18</sup> განსაზღვრავს ბავშვებისა და მოზარდების დასაქმებისათვის დასაშვებ მინიმალურ ასაკს. იგი ახდენს დასაშვებ მინიმალური ასაკის შემდგომ დიფერენციაციას: ზოგადი მინიმალური ასაკი, მინიმალური ასაკი სახიფათო სამუშაოებისათვის და მინიმალური ასაკი მსუბუქი სამუშაოების შესასრულებლად. კონვენციის მიხედვით, დასაქმებისათვის დასაშვები ზოგადი მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს 15 წელზე ნაკლები. ეკონომიკურად ნაკლები განვითარების მქონე ქვეყნებში ეს ასაკი შეიძლება განისაზღვროს 14 წლით.

სახიფათო სამუშაოების შემთხვევაში, რომელთა შესრულება შეიცავს ბავშვის/მოზარდის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაზიანების რისკს, დასაქმებულის ასაკი მინიმუმ 18 წლით არის განსაზღვრული. კონვენციის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ასოციაციებთან კონსულტაციის შედეგად, ქვეყანამ მსგავს სამუშაოზე შეიძლება დაუშვას 16 წლიდან პირების დასაქმება იმ პირობით, რომ მათი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სრულად იქნება დაცული და მათ გავლილი ექნებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი/პროფესიული განათლება. ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით, დასაშვებია 13-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება მსუბუქ სამუშაოზე, რომელიც: ა) არ არის მავნე ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის; ბ) ხელს არ უშლის სკოლაში დასწრებას, მათ მონაწილეობას პროფესიული ორიენტაციის ან მომზადების პროგრამებში, რომლებიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ; დასაშვები მინიმალური ასაკის ზღვარი მსუბუქი სამუშაოსათვის განვითარებად ქვეყნებში შეიძლება იყოს 12 წელი.

შსო-ის 146-ე რეკომენდაცია “მინიმალური ასაკის შესახებ”<sup>19</sup>, ასევე განმარტავს, რომ, მართალია, მინიმალური ასაკის შესახებ კონვენცია გარკვეულ გამონაკლისებს უშვებს დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებისთვის, თუმცა ქვეყნები, რომლებიც რატიფიცირებას მოახდენენ, უნდა ისწრაფოდნენ იმისკენ, რომ სამუშაოზე დაშვების მინიმალური ასაკი ეტაპობრივად მიუახლოვონ კონვენციით განსაზღვრულ პირველად ნიშნულებს. ამავე დროს, ეს ნორმები ერთი და იგივე უნდა იყოს ეკონომიკის ყველა სექტორისათვის.

ევროკავშირის დირექტივის (94/33/EC) თანახმად, გამონაკლისის სახით, დასაქმებული ბავშვების მინიმალური ასაკი შეიძლება იყოს 13 ან 14 წელი. ახალგაზრდების დასაქმება მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს შესაბამისი ორგანოების მიერ. დირექტივაში მოცემულია სამუშაო პირობების რეგულირების დეტალური განმარტებები. იგი მეტწილად შეესაბამება შსო-ის კონვენციებით დადგენილ ნორმებს. თუმცა, დირექტივაში დამატებით აღნიშნულია, რომ ახალგაზრდების სამუშაო ადგილზე დაცვის უპირატესი მოვალეობა დამსაქმებელს აკისრია, რომელმაც რეგულარულად უნდა აწარმოოს სამუშაო პირობების მონიტორინგი. დირექტივა ასევე განსაზღვრავს იმ ტიპის საქმიანობების ჩამონათვალს, რომელსაც ბავშვები არ უნდა ასრულებდნენ.

### 1.3.2. სამუშაო პირობების რეგულირება

შსო-ის 146-ე რეკომენდაციის 13-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მოზარდების შრომის ღირსეულ ანაზღაურებას, მკაცრად უნდა შეზღუდონ ყოველდღიური და ყოველკვირეული სამუშაო დრო და აკრძალონ ზეგანაკვეთური შრომა, რათა ბავშვებს ჰქონდეთ სწავლის, განვითარებისა და დასვენებისათვის საკმარისი დრო. ასევე, ყოველკვირეულად განსაზღვრული უნდა იყოს დასვენების დღეები, ღამით

18 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iOZkf6> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

19 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pwPTDD> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

ბავშვები უნდა ისვენებდნენ უწყვეტად არანაკლებ 12 საათის განმავლობაში, უნდა იღებდნენ ყოველწლიურ შვებულებას მინიმუმ 4 კვირის ვადით და ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სოციალური უსაფრთხოების ყველა იმ სარგებელზე, რაც ქვეყანაში არსებობს.<sup>20</sup>

ევროპის სოციალური ქარტიის მე-7 მუხლის<sup>21</sup> თანახმად, 18 წლამდე ასაკის ყველა პირმა დასაქმებამდე და დასაქმების შემდგომ, შრომითსამართლებრივი ურთიერთობების განმავლობაში, სისტემატურად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. აქედან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე, სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს დეტალურ მარეგულირებელ ნორმებს არასრულწლოვნების დასაქმებისას და მუშაობის შემდგომ პერიოდში, პერიოდულად, არასრულწლოვნების სისტემატური სამედიცინო შემოწმების შესახებ.

ევროკავშირის დირექტივა “სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ”, დეტალურ ინსტრუქციებს იძლევა ბავშვების სამუშაო საათების რეგულირების თაობაზე:

- თუკი ბავშვი კომპანიის ბაზაზე გადის სწავლებას (ანუ ჩართულია კომბინირებულ სწავლებაში) მისი სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს და კვირაში 40 საათს;
- თუკი ბავშვი სკოლის მოსწავლეა და სასკოლო საათების მიღმა ასრულებს სამუშაოს, მაშინ სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 2, ხოლო კვირაში 12 საათს;
- იმ პერიოდში, როდესაც სკოლა არ ფუნქციონირებს, ბავშვის სამუშაო საათები შეიძლება გაიზარდოს დღეში მაქსიმუმ 7 და კვირაში - 35 საათამდე;
- მოზარდებმა, რომელთაც დაასრულეს სკოლა და ასრულებენ მსუბუქ სამუშაოს, შეუძლიათ იმუშაონ დღეში მაქსიმუმ 7, ხოლო კვირაში - 35 საათი.

სამუშაო პირობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია შესვენების საკითხიც. ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, თუკი არასრულწლოვნის სამუშაო დღეში 4.5 საათს აღემატება, მას უნდა მიეცეს მინიმუმ 30 წუთი დასვენების უფლება.<sup>22</sup>

მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას ახალგაზრდების სამედიცინო შემოწმების შესახებ 1946 წელს მიღებული აქვს ორი კონვენცია: №77 და №78 „ახალგაზრდა პირების სამედიცინო შემოწმების შესახებ“

– არასამრეწველო და სამრეწველო სფეროებში. ეს კონვენციები აწესრიგებს არასრულწლოვნების სავალდებულო სამედიცინო შემოწმების წესსა და პირობებს. შესაბამისი დებულებებით,<sup>23</sup> არასრულწლოვნები და ახალგაზრდები არ უნდა მიიღონ სამუშაოზე, სანამ სამედიცინო შემოწმებით არ დადგინდება, რომ ისინი შეესაბამებიან ამ კონკრეტულ სამუშაოს. საქართველოს ეს დოკუმენტები რატიფიცირებული არ აქვს.

## 2. ადგილობრივი კანონმდებლობა და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტთან

საქართველოს რატიფიცირებული აქვს ბავშვთა შრომის შესახებ შსო-ის კონვენციების უმეტესობა (77-ე და 78-ე კონვენციების გარდა). შესაბამისად, ქვეყანას წარმოეშობა

20 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LWQGPH> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

21 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/168007cf93> [ბოლოს ნანახია: 25.01.2021]

22 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qRXnkO> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

23 მე-2 მუხლი, 1-ლი პუნქტი.

კონკრეტული ვალდებულებები, ეროვნული საკანონმდებლო სივრცე საერთაშორისო სტანდარტებს შეუსაბამოს. საქართველო ასევე არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის ხელმომწერი.

ILO-ს კონსტიტუციით აღიარებული პრინციპები დაედო საფუძვლად 1998 წლის კონფერენციის მიერ შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ დეკლარაციის მიღებას. ამ დეკლარაციის ძალით, ILO-ს წევრი ყველა სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რატიფიცირებული შესაბამისი კონვენცია, იღებს პასუხისმგებლობას, „დაიცვას, ხელი შეუწყოს მათ გამოყენებას და აღასრულოს“ გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიური მოლაპარაკების, იძულებითი შრომის აღმოფხვრის, ბავშვთა შრომის გაუქმებისა და შრომასა და დასაქმებასთან მიმართებით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ უფლებები და პრინციპები.

საქართველოს შრომის კოდექსი<sup>24</sup> განსაზღვრავს, რომ ფიზიკური პირის შრომითი ქმედითუნარიანობა წარმოიშობა 16 წლიდან, რაც სრულად მიესადაგება საერთაშორისო სტანდარტს, რომელიც ზოგად მინიმალურ ასაკს, როგორც უკვე აღინიშნა, 15 წლით განსაზღვრავს. ქართული კანონმდებლობით, 16 წლამდე პირის დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მეურვე ორგანოს თანხმობით, თუ შესაბამისი შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. აღნიშნული ჩანაწერი, ასევე შეესაბამება შსო-ს მიერ დადგენილ ნორმებს.

შრომის კოდექსის იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ 14 წლამდე არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტის, ხელოვნების ან კულტურის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად ანდა სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად. ეს ნორმაც შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად, იმდენად რამდენადაც შსო-ს კონვენცია მინიმალური ასაკის შესახებ განმარტავს, რომ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებთან შეთანხმებით, კომპეტენტურ ორგანოს ქვეყანაში შეუძლია არ გაითვალისწინოს დათქმა სამუშაოზე დაშვების ზოგადი მინიმალური ასაკის შესახებ.

რაც შეეხება ბავშვთა შრომის უკიდურეს და სახიფათო ფორმებს, საქართველოს შრომის კოდექსი მთლიანად კრძალავს მსგავს საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩართვას. კერძოდ, კოდექსის მიხედვით იკრძალება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად არასრულწლოვანთა დასაქმება. ასევე მათი დასაქმება ღამის გასართობ დაწესებულებებში, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადების, გადაზიდვისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. ამდენად, ქართული კანონმდებლობა მისადაგებულია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრის შესახებ შსო კონვენციასთან.

შრომის კოდექსის მიხედვით, 14-დან 16 წლამდე პირის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 4, ხოლო კვირაში 24 საათს. 16-დან 18 წლამდე პირების შემთხვევაში კი, არ უნდა იყოს დღეში 6, ხოლო კვირაში 36 საათზე მეტი (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 24, პუნქტები 8 და 9). ამ ნორმების პირდაპირ შედარება საერთაშორისო ნორმებთან შეუძლებელია, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის დირექტივა დაშვებული სამუშაო საათების დიფერენცირებას აკეთებს იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის აქტივობაშია ბავშვი ჩართული. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი ზოგადი ჩანაწერი

24 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2MnkUev> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

წარმოშობს საერთაშორისო სტანდარტის დარღვევის რისკს: მაგალითად, ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, სასკოლო საათებს მიღმა შესრულებული სამუშაო დღეში 2, ხოლო კვირაში 12 საათს არ უნდა აღემატებოდეს. შიდა კანონმდებლობაში საქართველოს გამიჯნული არ აქვს მომუშავე ბავშვების ასაკობრივი ჭრილის და დასაშვები სამუშაო საათების ზღვრული ლიმიტი, მათ შორის, 14-დან 18 წლამდე პირების (ანუ სკოლის მოსწავლეების) შემთხვევაში; შედეგად, ვიღებთ მდგომარეობას, სადაც სკოლის მოსწავლემ შეიძლება იმუშაოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საერთაშორისო ნორმებითაა დადგენილი.<sup>25</sup>

საქართველოს შრომის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აკრძალულია არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე; ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დროის ის მონაკვეთი, რომლის ხანგრძლივობა არასრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს. არასრულწლოვნის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის ხანგრძლივობა სამუშაო დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ჯამურად - 4 საათს. თუმცა, შსო-ს 146-ე რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფომ არასრულწლოვანთა ზეგანაკვეთური სამუშაოს აკრძალვაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. შესაბამისად, ეროვნულ კანონმდებლობაში არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დაშვება თუნდაც ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, შსო-ს შესაბამის სტანდარტს არ მიესადაგება.

ასევე, საქართველოს შრომის კოდექსი შესვენების საკითხს განსაზღვრავს ზოგადად; კერძოდ, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუკი სამუშაო დღის ხანგრძლივობა 6 საათს აღემატება, დასაქმებულს წარმოეშობა შესვენების უფლება სულ მცირე 60 წუთით. შრომის კოდექსში არ არსებობს ცალკე ჩანაწერი არასრულწლოვნებისთვის, რაც შეიძლება ადგილობრივი კანონმდებლობის ნაკლად ჩაითვალოს.

ბავშვის უფლებათა კოდექსის<sup>26</sup> 54-ე მუხლი ადგენს, რომ ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობის, ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის. ბავშვისათვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს შესრულებისაგან ბავშვების დასაცავად კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფომ უნდა:

1. დაადგინოს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს კონკრეტული ფორმების ჩამონათვალი, რომელიც პერიოდულად უნდა განახლდეს;
2. დაადგინოს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს ფორმებისა და ადგილების გამოვლენის წესი, გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელი უწყებები;
3. დაადგინოს ბავშვის დასაქმების მინიმალური ასაკი, სამუშაო საათები და სამუშაო პირობების სავალდებულო სტანდარტები;
4. დაადგინოს შრომის ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე უწყება, რომელსაც ბავშვი მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართავს.

ეროვნული კანონმდებლობა ბავშვთა შრომის ცალკეულ მიმართულებებს მავნე ზეგავლენისგან დაცვის უფლების ჭრილშიც განიხილავს; ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად, აკრძალულია ბავშვთა შრომითი საქმიანობა გასწიოს ისეთ დაწესებულებაში, სადაც

<sup>25</sup> აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ამ დირექტივის შესრულების ვალდებულება საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით არ ევალება. თუმცა, ცხადია, ეს არ აკნინებს, მისი, როგორც საერთაშორისო ნორმის, მნიშვნელობას.

<sup>26</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qOBLFV> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

ინარმოება ალკოჰოლიანი სასმელი, ეროტიკული პროდუქცია, ტოქსიკური ნივთიერებები, სამედიცინო მიზნით გამოყენებისთვის ნებადართული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებები ან/და თამბაქოს ნაწარმი, სადაც ხდება მათი დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია, ან რომელიც ფუნქციონირებს, როგორც სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი, ან ღამის გასართობი დაწესებულება.<sup>27</sup>

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, როგორც ზემოთ მოხმობილი მიმოხილვიდან ჩანს, სამუშაო საათებისა და პირობების შესახებ ადგილობრივ კანონმდებლობას რიგი უზუსტობები ახასიათებს, შესაბამისად, მე-3 პუნქტი მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული. რაც შეეხება დანარჩენ პუნქტებს, ისინი შეიძლება სრულად შესრულებულად ჩაითვალოს. კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2020 წლის 11 ნოემბერს მიიღო დადგენილება 18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე.<sup>28</sup> ეს დადგენილება შემდეგაირად განმარტავს არასრულწლოვანთათვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოებს:

1. მძიმე სამუშაოდ ითვლება სამუშაო პროცესი, რომელიც ზემოქმედებას ახდენს უპირატესად ადამიანის ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელ აპარატსა და ფუნქციურ სისტემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მის საქმიანობას და რომელიც ხასიათდება ფიზიკური და დინამიკური დატვირთვით, ასანევი და გადასაადგილებელი ტვირთის მასით, სტერეოტიპული სამუშაო მოძრაობების საერთო რაოდენობით, სტატიკური დატვირთვის სიდიდით, სამუშაო პოზის ფორმით, სხეულის დახრის ხარისხით და სივრცეში გადაადგილებით.
2. მავნე სამუშაოდ ითვლება სანარმოო გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომლის ადამიანზე ზემოქმედებას გარკვეულ პირობებში შეუძლია გამოიწვიოს პროფესიული დაავადება, შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაქვეითება, გაზარდოს სომატური და ინფექციური დაავადებების სიხშირე და საფრთხე შეუქმნას შთამომავლობის ჯანმრთელობას.
3. საშიშპირობებიანი სამუშაოდ კი განისაზღვრა ისეთი სანარმოო გარემო ან/და სამუშაო პროცესი, რომელიც შეიძლება გახდეს მწვავე დაავადების, ადამიანის ჯანმრთელობის უეცარი, მკვეთრი გაუარესების ან გარდაცვალების მიზეზი.

დადგენილებაში დანართის სახით წარმოდგენილია 18 წლამდე ასაკის პირთათვის აკრძალული სამუშაოებისა და იმ რისკფაქტორების ნუსხა, რომელთანაც მათ ეკრძალებათ მუშაობა. მოცემული განმარტებები და სახიფათო სამუშაოების ჩამონათვალის შემუშავება სრულად შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს (შსო კონვენცია 182), რომელიც ხელშემკვრელ ქვეყანას ავალდებულებს შეიმუშაოს მსგავსი განმარტებები და განსაზღვროს, კონკრეტულად რას წარმოადგენს „სახიფათო სამუშაოები“.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს ეძლევა შესაძლებლობა, სახელმწიფო ზედამხედველობა გასწიოს არასრულწლოვანთა შრომაზე. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიხედვით<sup>29</sup>, სახელმწიფო ზედამხედველობა ამ ეტაპზე მოიცავს არასრულწლოვანთა მიმართ ბავშვთა შრომის,

<sup>27</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 63 (2).

<sup>28</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/36dnnzf> [ბოლოს ნანახია: 25.01.2021]

<sup>29</sup> საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №KA030186714327820, 02/12/2020.

იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო ფაქტების გამოვლენას მათი თავიდან არიდების მიზნით, და შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გადაგზავნას. კერძოდ, შრომის ინსპექცია შემონმბულ კომპანიებში ახდენს დასაქმებულთა ასაკის მონიტორინგს და 18 წლამდე პირთა დასაქმების შემთხვევაში, თუკი სამუშაო გარემო მომეტებული რისკის შემცველია, შემთხვევებს შესაბამის უწყებებში ამისამართებს. 2018-2020 წლებში, შრომის ინსპექციამ მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპრობებიანი სამუშაოებზე არასრულწლოვანთა შრომის მხოლოდ 1 ფაქტი გამოავლინა. იქიდან გამომდინარე, რომ წლის განმავლობაში შრომის ინსპექცია ქვეყანაში არსებული კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილს უწევს მონიტორინგს, ეს რიცხვი ვერ ჩაითვლება იმის ინდიკატორად, რომ საქართველოში ბავშვთა შრომის პრობლემა არ არსებობს.

18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპრობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე დადგენილება ასევე ავალდებულებს დამსაქმებელს არასრულწლოვანის დასაქმების შემთხვევაში, შეაფასოს რისკფაქტორები, უზრუნველყოს დასაქმებულის შესაბამისი ინსტრუქტაჟი და მუდმივი ზედამხედველობა. ასევე, კრიტიკულია აღინიშნოს, რომ დადგენილების მიხედვით, არასრულწლოვანებს, რომელთაც არ გაუვლიათ სამედიცინო შემონმბება, არა აქვთ უფლება დასაქმდნენ მსგავს სამუშაოებზე. 18 წლის შესრულებამდე, ყოველწლიურად, მათ უნდა გაიარონ პერიოდული სამედიცინო შემონმბება,<sup>30</sup> რაც, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება შსო-ს 77-ე და 78-ე კონვენციებს.

შრომის ინსპექტირების მანდატის გაფართოების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება შსო-ს 138-ე კონვენციით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება, რომელიც ადგენს, რომ დამსაქმებელმა უნდა აწარმოოს მასთან დასაქმებული 18 წლამდე პირების რეესტრი, რომელიც მოიცავს დასაქმებული პირების სახელებს, ასაკსა და დაბადების თარიღს; მსგავსი ვალდებულება ქართულ კანონმდებლობაში საერთოდ არ არის ასახული. აქვე აღსანიშნავია, რომ ის ვალდებულებებიც კი, რომლებსაც სახელმწიფო იღებს ბავშვთა კოდექსის მიხედვით, ზოგადი ხასიათისაა და არ არის განერილი კონკრეტული ვადები შესაბამისი დოკუმენტების შესამუშავებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა შრომის სფეროში ეროვნული კანონმდებლობა ნაწილობრივ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მართალია, საქართველოს შრომის კოდექსი შეესაბამება შსო-ს 182-ე და 138-ე კონვენციების ძირითად პრინციპებს, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც საერთაშორისო ნორმებს არ მიესადაგება. ეს ძირითადად ეხება ბავშვთა დასაქმების პირობებს. კერძოდ, არასრულწლოვანთა სამუშაო საათების, ზეგანაკვეთური შრომისა და შესვენების შესახებ არსებული ეროვნული ჩანაწერები ან ძალიან ზოგადია (რაც ქმნის შეუსაბამობის რისკს), ან აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტთან; აღსანიშნავია, რომ სამუშაო პირობების განმსაზღვრელი საერთაშორისო ნორმები (კერძოდ, შსო 146-ე რეკომენდაცია და ევროკავშირის დირექტივა (94/33/EC) საქართველოს რატიფიცირებული არა აქვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დღის წესრიგში დადგეს ამ ნორმების სავალდებულოდ აღიარება და ქართული კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა.

### 3. ბავშვთა შრომა საქართველოში: პრაქტიკული კვლევის შედეგები

წინამდებარე თავში განვიხილავთ პრაქტიკული კვლევის ძირითად მიგნებებს, და წარმოგიდგინებთ ბავშვთა შრომის შესახებ რესპონდენტთა მოსაზრებებსა და გამოცდილებას.

30 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/36dnnzf> [ბოლოს ნანახია: 25.01.2021]



კვლევაში დასმული პრობლემები მიუთითებს, რომ ბავშვებს საქართველოში ხშირად უხდებათ თავიანთი ასაკისა და განვითარების შესაბამის, ჯანმრთელობისთვის საშიში სამუშაოს შესრულება, რაც ხელყოფს მათ საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალურ საჭიროებებს.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბავშვთა არაფორმალურ შრომით საქმიანობაში ჩართვის შემთხვევებზე სახელმწიფოს პასუხისმგებელ უწყებებს არ აქვთ ეფექტიანი მექანიზმი ამ პრობლემასთან საბრძოლველად და პოზიტიური შედეგების მისაღწევად; პანდემიის პირობებში, სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახთა საჭიროებების დაკმაყოფილება უფრო პრობლემური ხდება; კიდევ უფრო იზრდება ბავშვთა შრომის რისკები.

### 3.1. ბავშვთა შრომის განმაპირობებელი ფაქტორების მიმოხილვა

საქართველოში ბავშვთა შრომის განმაპირობებელი ფაქტორები სპეციფიკურია და უმეტესად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ოჯახში არასრულწლოვნის ქმედარითი ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების უგულებელყოფას, მშობლების ცნობიერების დაბალ დონეს უკავშირდება.

ბავშვთა შრომის სხვადასხვა სახეობიდან საქართველოში თავს იჩენს არასრულწლოვანთა შრომა შინამეურნეობებში, ქუჩაში, შრომითი მიგრაცია, სეზონური სამუშაოები, შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო შემთხვევები და ოჯახში განუღებელი შრომის თავისებურებები.

*„განათლების დაბალი დონის გამო, მშობლები ვერ იაზრებენ, რა რისკები შეიძლება შეექმნას ბავშვების შრომას, მათთვის. დაბალია სოციალურად ფუნქციონირებადი ოჯახები, მაღალია ეკონომიკური სიდუხჭირე. ძირითადად ეს ფაქტორებია“.*

*სოციალური მუშაკი სამცხე-ჯავახეთიდან*

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ წამყვანი ფაქტორი, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში ბავშვები ხშირად შრომით საქმიანობაში არიან ჩართულნი, სიღარიბე და ცხოვრების არასათანადო დონეა. სოციალურად დაუცველ და ეკონომიკურად შეჭირვებულ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები საყოფაცხოვრებო ნივთების, საკვების, ტანსაცმლისა და სათანადო საგანმანათლებლო ინვენტარის შესაძენად, რიგ შემთხვევებში, მათი ასაკისა და განვითარების შესაბამის შრომით საქმიანობაში არიან ჩართულნი. სიღარიბის გამო ბავშვთა შრომის შემთხვევებზე საუბრობენ კვლევაში მონაწილე არასრულწლოვნებიც.

*„ჩემი სკოლელები, როდესაც ძალიან ბევრი ბავშვი არის და ძალიან დიდი გაჭირვება, სამუშაო არ არის სოფელში, რომ იმუშაონ, დამინახავს ზამთარში, არც კურტკა რომ არ აცვიათ და ძალიან სცივათ, ჯართს აგროვებენ და რაღაც, პატარა ნაჭრებს რომ აგროვებენ, მიდიან და პურს ყიდულობენ მშობლებისთვის, ოჯახში რომ შეაქვთ ის თანხა და ის ფული, მეონია ასეთი შემთხვევა, და ძალიან ხშირად ყოფილან ეს ბავშვები ბულინგის მსხვერპლები სკოლაში, დასცინოდნენ იმიტომ, რომ არ აცვიათ კარგად“.*

*არასრულწლოვანი კახეთიდან*

ბავშვთა შრომის გამომწვევ ფაქტორებს შორის იკვეთება მშობელთა დაბალი ცნობიერების დონეც, არასრულწლოვანთა საჭიროებების კუთხით. ბავშვის აღმზრდელ პირთა (მშობელთა) აღქმა არასრულწლოვანთა შრომასთან დაკავშირებით, რიგ შემთხვევებში, პოზიტიურია; მშობლები მას სააღმზრდელი მეთოდადაც იყენებენ. ხშირად მშობლებს არ აქვთ სათანადოდ გააზრებული, რა ზიანი შეიძლება მიაყენონ ბავშვს შრომის სხვადასხვა მძიმე ფორმაში ჩართვით, სწავლისათვის განკუთვნილი დროის ხარჯზე ბავშვებისთვის სამეურნეო საქმიანობის დაკისრებით.

„მშობელი შეიძლება არ აძლებდეს ბავშვს, რომ წავიდეს და იმუშაოს, მაგრამ ბავშვი იძულებულია, რადგან მშობელს არა აქვს საშუალება, რო კალამი იყიდოს, რვეული ჰქონდეს სკოლისათვის, რაღაც...აი, სხვა გზა არა აქვს, რომ რაღაც ელემენტარული სჭირდება თავისი პირადისათვის და მშობელს უყურებს, რომ ოჯახს არ შეუძლია, რომ იძულებული ხდება, რომ წავიდეს“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან

„დედამ არ დართო ნება თავის არასრულწლოვან შვილს მონაწილეობა მიეღო ბოლო ზარის ღონისძიებაში, ასევე არ გაუშვა სკოლის დამთავრების გამოცდაზე, რათა აეღო ატესტატი და ის გააგზავნა რუსეთში სამუშაოდ. მე არ ვიცი, კონკრეტულად რა სამუშაოებს ასრულებს ეს ბავშვი. ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი“.

არასრულწლოვანი სამცხე-ჯავახეთიდან

„თოხნაც უნდა შეეძლოს და ბარვაც უნდა შეეძლოს, ზომიერად. და ინტერესიც უნდა იყოს, რომ ის პამიდორს რომ მოიყვანს, მერე ის უნდა გაყიდოს. დამრიგებელს სახლში არ უნდა მიჰქონდეს, რომ ტომატი გააკეთოს, ამაზე გავცოფდები“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან

ე.წ. „ტრადიციულ საზოგადოებებში“, თემსა და სოციალურ ბავშვი განიხილება როგორც „მინი-ზრდასრული“; შესაბამისად, როგორც ყველა ზრდასრულისგან, ბავშვისგანაც მოითხოვენ, რომ მან ოჯახში უნდა „შემოიტანოს“.

„მინახავს ოჯახი, რომელსაც არ უჭირდა ეკონომიკურად, მაგრამ თავისი 16 წლის ბავშვი გააგზავნა თურქეთში სამუშაოდ, რომ თავისი თავისთვის სასკოლოდ თანხა გამოემუშავებინა და განირჩეს ეს ბავშვი ფაქტიურად მთელი ზაფხული; იმის ნაცვლად, რომ, ვთქვათ, ეთამაშა ან წიგნი წაეკითხა, გაუშვეს სამუშაოდ“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

„ისინი ადრე უგებენ გემოს, რომ ფული იშოვეს და ნაწილი მიიტანეს სახლში, მაგრამ ნაწილი მიაქვს იმისთვის, რომ იყიდოს დასალევი ადრეულ ასაკში, გამოიყენოს ნიკოტინი, მავნე ზემოქმედების მქონე ნივთიერებები, ანუ, ასაკისთვის შეუფერებელი მავნე ცხოვრების წესით იცხოვრონ და, რა თქმა უნდა, მავნე გავლენას ახდენს“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

არაერთგვაროვანია ბავშვების აზრი შრომის პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. მოზარდების ნაწილი მიესალმება თავისუფალ დროს მუშაობას, ასევე მისაღებ პრაქტიკად მიიჩნევენ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად. ნაწილი კი ფიქრობს, რომ უმჯობესია ეს დრო განათლების მიღებასა და საკუთარი უნარების რეალიზებას დაუთმოს.

„სამუშაოს ქონა არის ძალიან გამოსადეგარი. იმიტომ, რომ ელემენტარული, როდესაც ბავშვს აქვს თავისი ფული და შეუძლია მშობლისგან აღარ ჰქონდეს სათხოვი ფულის და დაფინანსების მხრივ, ეს არის ძალიან მაგარი. სწავლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ ბავშვმა იმუშაოს კვირაში 1-2 დღე მაინც, რო რაღაცა ფული ჰქონდეს, ძალიან მაგარია. მე პირადად რომ მქონდეს შანსი მუშაობის, ვიმუშავებდი, რომ მქონოდა ჩემი პირადი თანხა, მოთხოვნილება არ მექნებოდა მშობლებთან“.

არასრულწლოვანი კახეთიდან

## 3.2. ბავშვთა შრომა შინამეურნეობებსა და სოფლის მეურნეობაში

შინამეურნეობებში ბავშვთა ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა შრომის განმაპირობებელი საფუძველია ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სიღარიბე. მშობლები სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ ბავშვის დასვენებასა და გართობას, განსაკუთრებით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებში. ისინი ბავშვის დასვენებასა და გართობას დროის ფლანგვად აღიქვამენ. მათ არც განათლების მიმართ აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება.

ამ მიგნებებს ხაზს უსვამს ასევე „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოკითხული რესპონდენტების აზრით, მოსახლეობა, ზოგჯერ უგულებელყოფს განათლების მიღების აუცილებლობას, განსაკუთრებით მაშინ, თუკი სწავლა და შრომა ერთმანეთს უპირისპირდება. ასეთ შემთხვევაში, ისინი ბავშვებს შრომისკენ უბიძგებენ, რადგან ამას პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს; ამასთანავე, შეიძლება მშობლები შიშობდნენ, რომ სკოლა ბავშვებს არსებული ტრადიციული ნორმების წინააღმდეგ განაწყობს, რაც ხელს შეუშლის მათი, როგორც „ოჯახში შემომტანის“, ფუნქციის შესრულებას;<sup>31</sup> მშობლები ასეთ შემთხვევაში ბავშვის შრომას ამართლებენ იმ მიზეზითაც, რომ მსგავსი საქმიანობით ბავშვი სწავლობს პასუხისმგებლობას და სწავლობს დამოუკიდებლობას.

შინამეურნეობებში დასაქმებული ბავშვების შრომა მოიცავს მონაწილეობას როგორც საოჯახო საქმიანობაში, ისე მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სამუშაოებში, განსაკუთრებით კი სეზონურად. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე რესპონდენტების დაკვირვებით, რეგიონებში საკმაოდ ხშირია ოჯახში განეული და სოფლის მეურნეობის სფეროში ბავშვთა ჩართვის შემთხვევები.

*„სოფელში ბავშვები მართო იყვნენ ჩართული სოფლის მეურნეობის სამუშაოებში, კარტოფილის ამოღების პროცესში და ზაფხულში თივის მოსავლის დროს და პანდემიამ გავლენა არ იქონია“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან*

*„ჩვენთან, მუნიციპალიტეტში, როგორც გაზაფხულის პერიოდში, ასევე შემოდგომით, სოფლის მეურნეობის სამუშაოები დასრულდა უპრობლემოდ. ბავშვების საქმიანობაზე, რომელნიც ჩართულები იყვნენ, პანდემიამ ზეგავლენა არ იქონია“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან*

ამასთანავე, შრომით საქმიანობაში ჩართვა ადრეული ასაკიდან იწყება და ზოგჯერ იძულებით ხასიათს ატარებს; მაგალითად, კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ინფორმაციით, ბიჭები ხშირად მესაქონლეობაში არიან ჩართულნი: „ჩვენთან უფრო მესაქონლეობაა გავრცელებული, და უფრო მეტად ბიჭები ერთვებიან, საქონლის გადევნა, ბალახის მოთიბვა და სხვა სამუშაოები, უფრო ბიჭები აკეთებენ და ერთვებიან ამ საქმეებში ადრეული ასაკიდან. მძიმე სამუშაოა, რა თქმა უნდა, არაა მიზანშეწონილი, მაგრამ ალბათ სხვა გზა არაა და იძულებულები არიან“.<sup>32</sup>

ხშირია, როდესაც არასრულწლოვნები ხანგრძლივი დროით ასრულებენ მათი ასაკისთვის შეუფერებელ და ჯანმრთელობისთვის საკმაოდ მძიმე დატვირთვის სამუშაოებს; ეს შეიძლება გამოიხატებოდეს სეზონურად მიწის დამუშავების, მოსავლის აღების სამუშაოებში ჩართვაში. „ჩემი მეგობარი, რომელიც ეხლა ყველამ ვიცით, რომ გურიაში არის ციტრუსის პერიოდი და თავის მამას დაყვება მზიდავად, რომ ყუთები შეაღაგოს მანქანაში და მერე ტრაილერში

31 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3iKHwlf> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

32 აჭარის შინამეურნეობების ერთ-ერთი რესპონდენტი (მშობელი).

გადაზიდოს“.

არასრულწლოვანი გურიიდან

„ჩვენთან არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვები 16 წლიდან მუშაობენ კერძო პირებთან - ფერმერებთან კარტოფილის დათესვისა და ამოღების პერიოდში ეგრეთწოდებულ „გრუშიკად“ მათი სურვილით. ჩვენთან არ არის იმდენი სანარმო ან კომპანია, რომ ბავშვებმაც იმუშაონ, ძირითადად კერძო პირებთან მუშაობენ სეზონურ სამუშაოებზე“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან

ბავშვთა შრომის მძიმე ფორმები იკვეთება სამცხე-ჯავახეთშიც, მათ შორის, სეზონურად და სკოლის პერიოდში.

„სეზონურად, კარტოფილი რომ არი, მაგ დროს, მანქანაზე დაწყობაში, მერე ჩამოღებაში, მერე ხდება ამ კარტოფილების გადარჩევა. ეს დაახლოებით არის ორი-სამი თვის პროცესი“.

პედაგოგი სამცხე-ჯავახეთიდან

„[ბავშვები] კარტოფილზე რომ მიდიან, მიდიან ძალიან ადრე, ესე 7 საათზე, რომ სანამ მზე ძალიან გადმოვა; დაამთავრონ, ან რამდენჯერ სკოლაში რომ მივდივარ, გზაზე ვხედავ, რომ მუშაობენ. მე ვამთავრებ 7 საათზე, გამოვლისას კიდევ მუშაობენ. შეიძლება მთელი დღე იყვნენ; ხოდა თავისთავად უცდებათ სკოლაც ამ პერიოდში“.

პედაგოგი სამცხე-ჯავახეთიდან

შრომის რეგულარული ან პერიოდული მძიმე ფორმები იწვევს ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ გადაღლას, რის გამოც ბავშვები სკოლაში დაბრუნების შემდეგაც ვერ ახერხებენ საგაკვეთილო პროცესზე სათანადო კონცენტრირებას და სასწავლო პროცესში ეფექტიანად ჩართვას.<sup>33</sup> ფოკუს ჯგუფში მონაწილე ერთ-ერთი პედაგოგის განცხადებით:

„ფიზიკურად როცა დატვირთულია ბავშვი, შესაბამისად ვეღარ აზროვნებს გონებრივად, ეს შეიმჩნევა მეორე, მესამე დღეს, მაგრამ გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ, ის უბრუნდება ჩვეულებრივ სასწავლო გარემოს და აქტიურია გაკვეთილზე და ცოდნის გამოვლენის დროს“.

პედაგოგი აჭარიდან

სოციალური მუშაკების ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლებში, ოჯახს გარეთ შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები ნაკლებად იკვეთება; მათი თქმით, უფრო ხშირია ბავშვების ჩართვა საოჯახო და სამეურნეო საქმიანობაში. სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი სოციალური მუშაკის განცხადებით, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ნაკლებად იკვეთება მიმართვიანობა შრომით ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

„აქ ისეთი გარემოა და ჩვენთან ისეთი სოციუმია, რომ ბავშვი თავიდანვე ეჩვევა შრომას. ამ ყველაფერს იძულებით არ აკეთებენ.“

სოციალური მუშაკი სამცხე-ჯავახეთიდან

კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში, ბავშვის შრომას ადგილი აქვს როგორც ოჯახში, ისე ანაზღაურების სანაცვლოდ სეზონურად.

ანაზღაურების მაჩვენებელი განსხვავებულია, თუმცა ხშირად მცირეა იმ სამუშაო დატვირთვისაგან შედარებით, რასაც არასრულწლოვანი ეწევა. სეზონურ სამუშაოებზე ბავშვების მეურნეობებში ჩართვას ადგილი აქვს როგორც გრძელვადიანი პერიოდით, ისე - ხანმოკლე დროით და დღიურად.

<sup>33</sup> კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა შრომის მძიმე ფორმის შემთხვევები (მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტი საუბრობდა, რომ არასრულწლოვანი მუშაობდა სატვირთო მანქანაზე).

„ბავშვები ძალიან არიან ჩართულები, რა თქმა უნდა, აქ მოგეხსენებათ, ბოსტნეულის.. საშემოდგომო სამუშაოები უფრო.. და რა თქმა უნდა, ჩართულები არიან და რაღაცნაირად შეიძლება ეს ცოტა სხვანაირად, სხვანაირი გამოჩნდეს, ექსპლუატაციადაც მიიჩნიონ მშობლების მხრიდან, მაგრამ ცოტა სხვანაირად უნდა დაკვირვება, იმიტომ რომ, ეს ბავშვის ინიციატივითაც ხდება, მშობელს ეხმარება, სხვა დამოკიდებულებით და სარჩოს მიღებაში“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან

ბავშვთა შრომას ასევე აქვს მნიშვნელოვანი გენდერული ასპექტები; საქართველოში არათანაბარი და განსხვავებულია მეურნეობასა და საოჯახო საქმეებში ჩართული არასრულწლოვნების გენდერული ქრილი. მაგალითად, რესპონდენტთა თანახმად, გოგონების დიდ ნაწილს შინ უხდება შიდა სამუშაოების, საოჯახო მეურნეობის გაძღოლა თავიანთი სწავლის, დასვენებისა და თავისუფალი დროით სარგებლობის ხარჯზე; რიგ შემთხვევებში, მშობლებს მიაჩნიათ, რომ ეს მისი, გოგონას „ვალი“ და ვალდებულებაა; თემში დამოკიდებულება ხშირად ტოლერანტულია ამ მხრივ, გოგონებისთვის აღზრდის წესად იქცა, რომ შეეჩვიონ საოჯახო საქმიანობას.

„ბავშვსაც გააჩნია, მაგრამ ხომ იცით, ზოგადად როგორი გადანაწილებაა ქართულ ოჯახებში, ქალის საქმეს გოგონებს ავალეებენ და მამაკაცის საქმეს - ბიჭს“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი გურიიდან

### 3.3. ქუჩაში და ტურისტულ სეზონზე შრომა

კვლევის შედეგებიდან ვლინდება, რომ საკურორტო ზონებში ზაფხულის სეზონის განმავლობაში ხშირია ბავშვების დასაქმების შემთხვევები ზღვის სანაპიროებზე, სხვადასხვა სარესტორნე და მომსახურების სფეროს დაწესებულებებში.

საკურორტო ზონებში, ბავშვებს, მაღალი ტემპერატურის პირობებში, მათ ასაკთან და ფიზიკურ შესაძლებლობებთან შედარებით მძიმე სამუშაოების შესრულება ევალებათ; თუმცა მსგავსი საქმიანობა შეიძლება ნებაყოფლობითიც იყოს - არასრულწლოვანს სურს, ჰქონდეს დამოუკიდებელი ფინანსური რესურსები სხვადასხვა საქმიანობისთვის.

„ხშირია პლიაჟზე სიმინდის და სხვა ნივთების გაყიდვა. ბავშვები ზაფხულში მშობლებთან ერთად დადიან და ეწევიან ვაჭრობას“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

„ეს მოახდენს მასზე ცუდ ზეგავლენას როგორც ფიზიკურ, ასევე პიროვნულ განვითარებაზე. ასევე, ის იმყოფება თავის თანატოლებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, მაშინ როცა ის ყიდის სიმინდს, შეიძლება იქვე იყოს მისი კლასელი, მეგობარი და ამიტომ ის დაჩაგრულად იგრძნობს თავს და ეს დიდ უარყოფით გავლენას მოახდენს მის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე და განვითარებაზე“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

ბავშვთა შრომაზე საუბრისას განსაკუთრებით პრობლემურია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები.

ამ საკითხის სიმწვავეზე სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშებში მიუთითებს<sup>34</sup> და პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას.

34 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3pqj632> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შესახებ საქართველოში“<sup>35</sup> გამოყოფს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების 2 ქვეჯგუფს - ქუჩაში მშობლების თანხლებით მომუშავე და დამოუკიდებლად მომუშავე ბავშვებს, რომლებიც ასევე განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ სად ათევენ ღამეს. როგორც წესი, ყველა მათგანი, დღის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებს, თუმცა დღის ბოლოს ზოგი მათგანი სახლში ბრუნდება, ნაწილი კი ღამეს ქუჩაში ათევს. შრომა ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. წვრილმანი ნივთებით ვაჭრობა, ქურდობა, მოწყალეების თხოვნა ხშირად ორგანიზებულია და უფროსების მიერ კონტროლდება. ამ ბავშვებისა და ახალგაზრდების უმეტესობა განათლების სისტემის მიღმაა დარჩენილი.<sup>36</sup>

*„არიან ბავშვები, რომლებისთვისაც ეს არის პროფესია და არინ ბავშვები, რომლებსაც აიძულებენ, რომ საღამოს ფული მიუტანოს ვიღაცას. ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს. მათ მართლა სჭირდებათ დახმარება. ეს არის პროფესიად ქცეული, ყოველი მათხოვარი ყოველდღიურად, საღამო 200 დან 300 დოლარამდე ფულს აგროვებს. მერე იმას ვიღაცას აძლევს ... უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვები და უფროსები მათხოვრობის იმას თამაშობენ“.*  
შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან

*„ძალიან ბევრი ბავშვი მათხოვარი დანახულიც გეჩნებათ, ხო, რომ შეუნიშნებთან დგანან საღამოობით სამათხოვროდ. სხვებსაც სულ მოგუნოდებ, რომ არასოდეს ფული არ მისცენ იმიტომ, რომ მერე იმედი აქვთ, რომ იქ რომ მივა, ფულს იშოვის. ეგ არის ძალიან დიდი პრობლემა, სულ გული მტკივა. ეხლა შევამჩნიე თელავში 12 – 13 წლის გოგონები, ახლები, არ მინახია მე ეს ბავშვები საერთოდ, რომ გამოლაპარაკება ვცადე, გაიქცა“.*  
შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან

გამოკითხული რეგიონებიდან ქუჩაში მომუშავე ბავშვების პრობლემა ყველაზე მძაფრად აჭარაში - ბათუმსა და ქობულეთში, ასევე, კახეთის რეგიონში გამოვლინდა; მათ შორის, როგორც მოწყალეების თხოვნისა და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის, ისე - წვრილმანი ნივთებით ვაჭრობის მიმართულებით. ამ მხრივ განსხვავებულია საზოგადოების დამოკიდებულება და აღქმები, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვების მიმართ;

მოსახლეობა, რიგ შემთხვევებში, მიიჩნევს, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის, განსაკუთრებით, ბოშებით დასახლებული ადგილებისთვის, ეს ჩვეული მოვლენაა და ამ პრობლემასთან ბრძოლა ნაკლებად შედეგიანი იქნება. ბავშვების ქუჩაში მუშაობის შემთხვევები განსაკუთრებით იმატებს ტურისტულ სეზონზე.

*„მოწყალეების მთხოვნელი ბავშვები, რომ დავდივართ, ყოველ 5 - 10 მეტრში დგანან და დამოკიდებულება, იცით, როგორია? - ესენი არ არიან ქართველები, მერე მაინც გამოვლენო ქუჩაში, არ ვიცი, მოლდოველები არიან თუ ვინ, მაგრამ ბევრს აქვს ქართული გვარი და რა მნიშვნელობა აქვს, რა ეროვნების ან კონფესიის არიან - ქუჩები არის სავსე ასეთი ბავშვებით. მშობლები შორიახლო დგანან და ტრეფიკინგის სახე აქვს, ბავშვები ითხოვენ მოწყალეებს, მერე მოდის მშობელი და ართმევს ფულს. აქამდე თუ ზაფხულში იყო ეს თვალშისაცემი,*

*ახლა პანდემიის პირობებში, ახლაც, ამ სეზონზეც მათი რაოდენობა მეტად გაიზარდა. ბუნებრივია, რადგან ოჯახები აღმოჩნდნენ რთულ მდგომარეობაში. ეს ბავშვებზეც აისახა“.*  
შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

*„განსაკუთრებით ზაფხულშია თვალსაჩინო, მიუსაფარი ბავშვები ქუჩაშიც ათენებენ და მთელი დღე ან მოწყალეებს ითხოვენ ან ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ ან ზღვის ნაპირზე*

35 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/2M8HXK1> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021]

36 იქვე.

*სიმძიმეებს დაატრევენ და არიან გაუთავებლად მაღალი ტემპერატურის ქვეშ“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან*

აჭარის რეგიონში ბავშვების ქუჩაში შრომა და მოწყალების თხოვნა უმეტესად სეზონურია, ხოლო კახეთის რეგიონში ნაკლებად დამოკიდებული სეზონურობაზე. მსგავს შემთხვევებზე საუბრობენ სოციალური მუშაკებიც, თუმცა ასევე მიუთითებენ სერვისების სისუსტეზე.

წინამდებარე კვლევის შედეგებმა ასევე გვიჩვენა, რომ დიდ ქალაქებში გავრცელებულია არასრულწლოვანთა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა, სახელმწიფოს სოციალური სისტემის რეაგირების ბერკეტი კი საკმაოდ სუსტია:

*„ქობულეთის სენია ეს, სეზონურად ბავშვების გამოსვლა და ვაჭრობა, არის ხოლმე პიკი; ხშირ შემთხვევაში, დადიან მოწყალების სათხოვნელად; ზღვა, ხშირ შემთხვევაში,, სავსეა ბავშვებით და რთულია რა ამას გაუმკლავდე, იმიტომ რომ რეალურად არც ამის სახსრები გაქვს და არც რესურსი და არც შეგიძლია 24 საათი ზღვაზე იმორიგეო. ყველზე ცუდი ისაა, რომ ტურისტულ სეზონზე სხვა რეგიონებიდანაც ჩამოდიან მშობლებთან ერთად, ღამეს გარეთ ათენებენ და ისე ვაჭრობენ“.*

*სოციალური მუშაკი ქობულეთიდან*

*„გურჯაანში, კოვიდიდან გამომდინარეც, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს მოწყალების თხოვნა. არანაირად დაცულები არ არიან და არც კონტროლდებიან ამდენ ხალხთან აქვთ შეხება და ჩემი აზრით, ძალიან დიდი პრობლემაა ... არც ტესტირებაზე მიდიან“.*

*სოციალური მუშაკი კახეთიდან*

გამოკითხული უწყებების და თვითმმართველობების ცნობით, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან მიმართებით, სათანადო აღრიცხვის მექანიზმი სუსტია, რაც აფერხებს პრობლემის რაოდენობრივი მასშტაბების განსაზღვრას. ქუჩაში ბავშვთა შრომის ინდივიდუალურ შემთხვევებზე, რეაგირება ძირითადად ხდება მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს მობილური ჯგუფებისა (ქ. თბილისი, ქუთაისი) და სოციალური მუშაკის მხრიდან. მუნიციპალური სერვისები კი, ამ სფეროში მხოლოდ ზოგადი ხასიათის პროგრამებით შემოიფარგლება.

### 3.4. ბავშვთა შრომითი მიგრაცია

შრომითი მიგრაცია, ბავშვთა უფლებების რეალიზების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. კვლევის თანახმად, ბავშვების შრომითი მიგრაცია პრაქტიკაში გვხვდება როგორც სეზონურად, ისე ხანმოკლე და გრძელვადიანი პერიოდით, ბავშვების ასაკობრივი ქრონიკული, უმეტესად 14-დან 18 წლამდე მერყეობს.

საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის შემთხვევებზე სახელმწიფოს მონიტორინგისა და რეაგირების მექანიზმი არაეფექტიანია. საჯარო სკოლები ვერ ახდენენ სათანადო რეაგირებას; პედაგოგები ხშირად არ ასახავენ ბავშვების მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევებს, შესაბამისად, ვერ ხერხდება მსგავსი ფაქტების დროულად გამოვლენა და აღრიცხვა.

*„ისეთი ოჯახიდან მიდიან სოციალურად შეჭირვებული ოჯახები, ბავშვის სწავლას არ აქცევენ ყურადღებას, კი არის 2-3 ოჯახი დადის თურქეთში, მერე სწავლასაც არ გააგრძელებს, ბიჭები უფრო, ჩაის კრეფენ და ამ პანდემიის დროს მამას ეხმარებიან შეშის, თხილის გამოჭრას რომ ეძახიან იმაში, ეჭვი მაქვს, რომ ოჯახი სწავლას არ გააგრძელებენ“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი გურიიდან*

დროებითი შრომითი მიგრაციის თემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გურიისა და აჭარის რეგიონებში. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კვლევის მიხედვით, ამ რეგიონებიდან

თურქეთში სეზონური შრომითი მიგრაცია ძალიან აქტიურია და მასში ახალგაზრდების დიდი ნაწილია ჩართული. კვლევის<sup>37</sup> ფარგლებში გამოიკითხა 14-დან 22 წლამდე ასაკის 223 ახალგაზრდა, რომელთა 86% აცხადებდა, რომ პირველი სამუშაო ვიზიტით თურქეთში 15-დან 17 წლამდე პერიოდში იყო და მას შემდეგ პერიოდულად ენეოდა ამ საქმიანობას.

ახალგაზრდების უმეტესი ნაწილი თურქეთის ქალაქებში (ძირითადად, ორდუ და რიზე) ჩაისა და თხილის პლანტაციებში მიდის სამუშაოდ. მართალია, ვიზიტების უმეტესი ნაწილი ზაფხულის თვეებზე მოდის, თუმცა მეორე და მომდევნო ვიზიტების დროს უფრო ხშირია სასკოლო პერიოდში სამუშაოდ წასვლის შემთხვევები. ამ შემთხვევების ზრდა სკოლების მხრიდან ამგვარი ფაქტების უგულებელყოფითაა განპირობებული.<sup>38</sup>

შრომითი მიგრაციის უმთავრესი გამომწვევი ფაქტორია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და სიღარიბეში მცხოვრებ ოჯახთა საჭიროებები; რის გამოც, მშობლები თავად უბიძგებენ, ან/და თანახმა არიან, რომ არასრულწლოვნები საზღვარგარეთ სხვადასხვა სამუშაოზე დასაქმდნენ და მათი ასაკისთვის ან ფიზიკური განვითარებისთვის შეუსაბამო პირობებს დათანხმდნენ.

*„პანდემიამდე ერთ-ერთ ადგილას სტუმრობისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბიძას მიჰყავდა ძმისშვილი თურქეთში სეზონურ სამუშაოზე. ამ ბავშვს აშკარად ჰქონდა გონებრივი ჩამორჩენა და აქტიურად ჩავერიე, რომ ეს არ მომხდარიყო. თუნდაც გონებრივად ჯანსაღი ბავშვების წასვლაც უნდა კონტროლდებოდეს სახელმწიფოსგან მკაცრად, რადგან ეს მავნე ზეგავლენას მოახდენს მათზე, რომელთა გონება მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ დაეხმარონ მშობლებს ფიზიკური შრომით“.*

შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

*„როცა პანდემია არ იყო, ზაფხულში ბავშვები გადაყავდათ თურქეთში და ჩაის აკრეფინებდნენ, 16 წლის ზემოთ ითვლება, რომ ბავშვი შეძლებს ამ სამუშაოს და ეს არ არის დანაშაული, მაგრამ 13 წლის ბავშვებიც გაყავდათ და მუშაობდნენ ჩაიზე თურქეთში, და ეს მიუღებელია და ზუსტად ვერ ვიტყვი, კანონმდებლობაში როგორაა აღწერილი, მაგრამ 13 წლის ბავშვი არ უნდა მუშაობდეს 8-10 და 12 საათი“.*

შინამეურნეობის წარმომადგენელი გურიიდან

*„ბავშვები მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ მონურ შრომას ეწევიან თურქეთში და შესაბამისი სტრუქტურები უკვე დაინტერესებული არიან ამით. ისინი ფაქტიურად განათლებას არც იღებენ, რადგან სწავლის პერიოდში გადადიან სამუშაოდ“.*

შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის კვლევის მიხედვით, თუ პირველი ვიზიტის დროს რესპონდენტთა მხოლოდ 2.2% აცხადებდა, რომ სკოლის გაცდენის ხარჯზე წავიდა, მესამე ვიზიტის დროს ამას უკვე 13.7% ამბობდა. რესპონდენტთა დიდი ნაწილი (საშუალოდ 63%) სამუშაო პირობებს აფასებს როგორც მძიმეს ან ძალიან მძიმეს. სამუშაოს სიმძიმე, ამ შემთხვევაში, ხანგრძლივი სამუშაო საათებით (დღეში 9-10 საათი) და ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტელი ფიზიკური მუშაობით განისაზღვრება. დასახელდა ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ცალკეული შემთხვევები. ამ მახასიათებლების მიხედვით, აშკარად იკვეთება, რომ თურქეთში წასული ბავშვებისა და ახალგაზრდების შრომა ე.წ. „ბავშვთა შრომის“ ნიშნებს შეიცავს.<sup>39</sup>

ყოველივე ამას საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე კვლევაც ამყარებს.

<sup>37</sup> ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (2015), აჭარისა და გურიის რეგიონებიდან თურქეთში არასრულწლოვანთა შრომითი მიგრაციის პრაქტიკის შესწავლა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ol1a8D> [ბოლოს ნანახია: 08.02.2021].

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე.



საზღვარგარეთ შრომითი მიგრაცია ხშირად აფერხებს განათლების უფლების განხორციელებას, ბავშვები იძულებული არიან, სკოლა გააცდინონ, გარდა ამისა, ასრულებენ თავიანთი ასაკისა და ფიზიკური განვითარებისათვის შეუსაბამოდ მძიმე სამუშაოებს, უხდებათ დატვირთული გრაფიკით არაჯანსაღ გარემოში მუშაობა. გამოკითხული რესპონდენტების თანახმად, ბავშვებს ხშირად ასევე არ აქვთ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, მოუწესრიგებელი აქვთ კვების, ძილის, დასვენების რეჟიმი.<sup>40</sup>

შრომითი მიგრაციის პერიოდში ბავშვების მხრიდან მძიმე სამუშაოების შესრულებაზე საუბრობდნენ ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტებიც:

*„აქტიურია ეს პროცესი {შრომითი მიგრაცია}, იგივე თურქეთში და სხვა ქვეყნებშიც, ბავშვები დადიან მშობლებთან ერთად. უფრო მსმენია, რომ მშენებლობებზე მიდიან, რაც საკმაოდ მძიმეა და ხელიც ეშლება სწავლაში. ასეთ დროს ისინი არ აგრძელებენ სწავლას სკოლაში“. ამავ ფოკუს ჯგუფის კიდევ ერთი მონაწილე ასევე აღნიშნავდა, რომ „იქ ძალიან მძიმეა მუშაობა. ქობულეთიდან თურქეთის გარდა ერწყმიც დადიან და ოჯახებით მიდიან, და იქ ძირითადად მშენებლობებზე მუშაობენ. უკვე 2 წელია, რაც ერწყში სიარული აქტუალურია“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი აჭარიდან*

*„...საშინელება იყო ნამდვილად და ზოგადადაც, იქ [თურქეთში] გადასულებს ამუშავებდნენ ქარხნებში, იქ იყო სოკოს გადამამუშავებელი ქარხანა. მერე იყო კიდევ ბავშვები და ჩვენ ჩასულები ვდგებოდით დილით 6 საათზე და ვმუშაობდით ღამის 10 საათამდე, ხანდახან შეიძლებოდა, სამუშაო ბევრი თუ იქნებოდა, შეიძლება ღამეც გაგვეთენებინა. იქაურები მუშაობდნენ 10 საათიდან 6 -ის ნახევრამდე და ორი იმდენი ანაზღაურებით“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან*

პანდემიამდე პერიოდში ბავშვთა შრომით მიგრაციაზე საუბრობენ ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონშიც:

*„აქ არის ახალქალაქში ეგეთი შემთხვევები, ძირითადად რუსეთი ერევანი, უფრო რუსეთში რა, მაგრამ ეხლა ამ პერიოდში უკვე შეფერხებებია და ვერ გადადიან და არასრულწლოვნები თუ იყვნენ, მაგაზე ზუსტი პასუხი არ მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან პერიოდულად სისტემატურად დადიოდნენ და გადასვლები იყო ძირითადად რუსეთში. იმიტომ რომ საარსებო წყაროა ამათი“.*

*ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან*

### 3.5. ფორმალურ სექტორში ბავშვთა შრომა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მხოლოდ 2015 წელს, შრომაში ჩართული ბავშვებიდან (24 400 ბავშვიდან) 63.9% სახიფათო შრომითაა დაკავებული. სახიფათო შრომასთან ერთად, გამოიკვეთა შემთხვევები: არაჯანსაღი და ძალადობის ფაქტების შემცველი პირობები (მუდმივად უყვირიან, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ), მავნე სამუშაო გარემო (მტვერი, კვამლი, მაღალი ტემპერატურა, სიცივე და ა.შ.), სამუშაოები, სადაც ბავშვებს შეხება უწევთ საშიშ ნივთიერებებთან, აპარატურასთან და/ან ხანრგძლივი დროით არიან დაკავებული. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 51.8% 5-დან 13 წლამდე ასაკისაა, რაც ყოველგვარი საერთაშორისო, თუ ადგილობრივი ნორმების უხეში დარღვევაა. „სახიფათო შრომა“ ძირითადად ქალაქადაა გავრცელებული და მასში ჩართული ბავშვების 87.8% ჯანმრთელობისათვის საზიანო გარემოში მუშაობს; ასეთ შრომაში 8 800-მდე ბავშვი იყო ჩართული.

საქართველოს სახალხო დამცველის კვლევაში მონაწილე რესპონდენტების თანახმად, ფორმალურ შრომით ურთიერთობებში არასრულწლოვნის ჩართვა უმეტესად ხდება

<sup>40</sup> იქვე.

სუპერმარკეტებში, კვებით ობიექტებში, სარესტორნე მომსახურების, სასტუმროების ქსელში, მცირე სარეკლამო მომსახურების სფეროებში. დასაქმებულთა საშუალო ასაკი უმეტესად 15-დან 18 წლამდე მერყეობს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა 16 წლიდან წარმოიშობა.

*„ჩვენთან არის მოცვების ქარხანა და ზაფხულში კრეფენ, მაისში, რა ივნისში დადიან მოცვების საკრეფად და საძნელო საქმე არ არის ეს, მაგრამ მზეა, ცხელა ძაან, ძალდატანებით არა, მოხალისეები არიან, ჩემი შვილები არ გამიშვია მე“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი გურიიდან*

ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანალიზიდან ასევე ირკვევა, რომ, მაგალითად, საკმაოდ ხშირია კახეთის სასტუმროებში არასრულწლოვანთა დასაქმების შემთხვევები. არასრულწლოვნები ასევე აღნიშნავენ, რომ მათი თანატოლები აქტიურად არიან ჩართულნი მსგავს საქმიანობაში; რამდენიმე არასრულწლოვანი ასევე აღნიშნავს, რომ ადგილზე მომუშავე ბავშვების შრომითი უფლებები დაცულია და კანონიერად არიან დასაქმებულები. თუმცა საპირისპირო შემთხვევები გამოიკვეთა სანარმოებში ბავშვთა დასაქმების კუთხით, სადაც შრომის მძიმე ფორმებზეც საუბრობდნენ რესპონდენტები.

*„დედოფლისწყაროში როდესაც ვცხოვრობდი, არის მოგეხსენებათ ქარხნები... ხორბლის და ასე შემდეგ... არასრულწლოვანი ბავშვები მუშაობდნენ, რაც მე არ მომწონდა, რადგან ენეოდნენ ძალიან მძიმე მუშოკებს და ძალიან იღლებოდნენ; არც დრო არ იყო განკუთვნილი, რომ რაღაც 4 საათი ემუშავათ და მერე წასულიყვნენ, დაესვენათ. მთელი დღის განმავლობაში მუშაობდნენ“.*

*არასრულწლოვანი კახეთიდან*

საკმაოდ ხშირია ტურიზმის მომსახურებისა და სხვადასხვა ქარხანაში არასრულწლოვანთა დასაქმების შემთხვევები:

*„პირადად მეც და ჩემი მეგობრებიც სეზონურად ვმუშაობდით ხოლმე კომპანიაში, მე, მაგალითად, ერთ-ერთ ღვინის ქარხანაში ასევე ტურიზმის სექტორში ვიყავი დასაქმებული, ჩემი მეგობარიც. და სხვებიც, მახსენდება რამდენიმე, ზოგი მიმტანად, ზოგს საკუთარი ბიზნესი აქვს. 16 წლიდან, როცა უფლება აქვთ მუშაობის. მე პირადად 16 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე ზაფხულში. კომპანიაში, ზოგი, მაგალითად, უკვე იმდენად დიდი გამოცდილება აქვს, რომ ორგანიზაციებში იწყებენ მუშაობას. მყავს ასეთი მეგობრებიც“.*

*არასრულწლოვანი კახეთიდან*

*„სეზონური იყო, ჩემი შვილი მუშაობდა 2 კომპანიაში, ჯერ ერთგან და მერე სხვა კომპანიაში გადავიდა, იყო ხელშეკრულება ჩვენს, კომპანიასა და მშობლებს შორის, დავწერეთ თანხმობაც აგრეთვე, გარკვეული სამუშაო საათები იყო, აღარ მახსოვს 4 საათი იყო თუ 5, ბავშვის სურვილით იყო გრაფიკი, რა თქმა უნდა, დღის პირველი ნახევარი, ძალიან კარგი კომპანია იყო, იმიტომ რომ ბავშვები პრაქტიკას გადიოდნენ უცხო ენებში და ძალიან მსუბუქი სამუშაო იყო, ეს იყო უცხოელებთან მიმართულების მიცემა ერთ - ერთ ტურისტულ კომპანიაში“.*

*შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან*

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმების შემთხვევები შედარებით ნაკლებია ბავშვთა ტურიზმის სფეროში; დამსაქმებლები ხშირად ამჯობინებენ, რომ ხელშეკრულებისა და ოფიციალური დოკუმენტაციის მოუნესრიგებლად, არასათანადო ანაზღაურებით აიყვანონ სამუშაოზე არასრულწლოვნები.

*„უფროსს ერიცხება ხელფასი და ბავშვი არ ფიქსირდება, იმიტომ, რომ იმ კომპანიამ იცის, რომ არ შეიძლება, რომ ბავშვი აიყვანოს. აიყვანს და ესევე დაისჯება. კანონით, არ შეიძლება, რომ“*

*ბავშვმა ფიქსირებულ ხელფასზე იმუშაოს, ნუ, ეს ვიცით და არც მე არ ვარ მაგაზე თანახმა“.*  
შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან

*„კონტრაქტი არა მგონია, რომ გამოეყენებინათ, იმიტომ, რომ ამ ბიზნესს ჰყავს სხვა მონაწილეებიც, ოჯახს ჰყავს სხვა მომხმარებლები, საოჯახო ძირითადად, ეს ბავშვები, მოზარდები: გიდეები, გამყოლები... სხვა ნამდვილად არ ვიცი, არა, და რაზეც მოგახსენებთ, ტურიზმში ძირითადად, აქ გამორიცხულია რაიმე სახის კონტრაქტის გაფორმება. თუ არის სხვა დაკვეთა, რომელსაც შემთხვევით მიიღებენ, გამყოლად გაჰყვებიან ან რაღაც, აქაც ოფიციალურად არაფერი“.*

შინამეურნეობის წარმომადგენელი კახეთიდან

### 3.6. ბავშვთა შრომა და განათლების უფლების დარღვევა

განათლების უფლება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებაა, რომელიც ადგენს, რომ დანყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.<sup>41</sup>

ბავშვთა ეროვნული კვლევის<sup>42</sup> მიხედვით, 5-13 წლის ასაკის ბავშვებში დასაქმება არ ახდენს არსებით გავლენას სწავლის პროცესში მათ ჩართულობაზე; თუმცა, ასაკის ზრდასთან ერთად, იზრდება დასაქმების დონე და სწავლაში ჩართულობაც იკლებს. კერძოდ, მომუშავე ბავშვებში სწავლის მიტოვების მაჩვენებელი 10.1%-ია, ხოლო სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში ეს მაჩვენებელი 16.1%-ს შეადგენს. შედარებისთვის, აღსანიშნავია, რომ არამომუშავე ბავშვებში სწავლის მიტოვების მაჩვენებელი 1.4%-ია.<sup>43</sup>

საქართველოს სახალხო დამცველის კვლევის მიხედვით, ბავშვთა შრომის გამო ხშირია სკოლის მიტოვების ან გაცდენების ფაქტები, სკოლების მექანიზმი კი, განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის თავიდან ასარიდებლად, საკმაოდ მწირია.

*„ჩემს სკოლაში ვიცი ერთი ბიჭი, რომელსაც კარგი უნარები აქვს სწავლაში, მაგრამ ფიზიკური სამუშაო მას სწავლაში ხელს უშლის და ბევრ გაკვეთილს აცდენს. ონლაინ გაკვეთილების პერიოდშიც საერთოდ არ შედის გაკვეთილებზე და აქედან გამომდინარე ვიტყვი, რომ სამუშაო სწავლასთან კოორდინირება არ გამოდის. ამ პირობებში უფრო აუცილებელია სწავლა და არა სამუშაო“.*

არასრულწლოვანი სამცხე-ჯავახეთიდან

*„როდესაც მოსწავლესთან ატარებ გამოკითხვას, ეუბნები, რამდენად რთულია შენთვის, იქ ვთქვათ, ნასვამ ადამიანებთან გინევს მომსახურება, კონტაქტი და ა. შ. როდესაც ამ დეტალებში ჩავეძიებით ხოლომე, სიფრთხილეა საჭირო, ამით შეიძლება წავაქეზოთ იქითკენ, რომ უფრო დახუროს თემა, უფრო ტაბუ დაადოს“.*

პედაგოგი კახეთიდან

*„პანდემიის პერიოდში მთლიანი სასწავლო პროცესი ჩაიშალა. ეს ეხება იმ სკოლებს, სადაც ონლაინ გაკვეთილები ტარდება, დანარჩენ სკოლებში, სადაც ონლაინ არ ტარდება, სწავლის ხარისხი მეტნაკლებად არის. ონლაინ გაკვეთილების დროს ვერ კონტროლდება მოსწავლე როგორც საჭიროა, მართო შეიძლება კონტროლი დანყებითი კლასის ბავშვების. ეს ინტერნეტ*

41 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27 (1, 2).

42 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Ml2pqV> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021].

43 იქვე.

კავშირი მავნე ზეგავლენას ახდენს ბავშვების ჯანმრთელობაზე“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან

ბავშვების შრომა, გარდა მისი მძიმე და ხშირად იძულებითი ხასიათისა, აფერხებს განათლების მიღების შესაძლებლობასაც. სეზონურად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის გამო, არასრულწლოვნებს უხდებათ სკოლის გაცდენა. ეს პერიოდი შეიძლება გრძელდებოდეს როგორც რამდენიმე კვირის განმავლობაში, ისე უფრო დიდი დროითაც.

„...მე-8; მე-9 კლასელ ბავშვებს მშობლები აიძულებენ შრომას, ისინი ვერ ერთვებიან თიშის პროგრამებში, მშობლები აიძულებენ დავალებები ღამის საათებში გადააგზავნონ და ჩაერთონ მესაქონლეობაში, რაოდენობრივად გამახსენდება და ვიტყვი, რომ 60 პროცენტი ჩართულია იძულებით სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ქობულეთისა და უფრო ქვემოთ დაბებზე, სეზონურად იწვევს უფრო ეს მაჩვენებელი და ვერ ვიტყვი, რომ ბათუმის ბავშვები არ არიან ჩართული, რადგან ჩემი ბენეფიციარების 60 პროცენტი მშობლებს წაყვანილი ყავთ მანდარინის საკრეფად“.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აჭარიდან

„...რასაც ვაკვირდებოდი, ჩემს კლასელებს ხშირად უწევდათ სკოლის გაცდენა სამუშაოს გამო. არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება თუ არა მისი სურვილით, კანონი უნდა იყოს შემდეგნაირი, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუშალოს სამუშაომ, რა სახისაც უნდა იყოს ეს, მიმტანი, ოფისში მენეჯერი თუ ვენახში მუშაობა, სკოლის საათების დროს არ უნდა იყოს მოსწავლისთვის დრო რომ გააცდინოს“.

არასრულწლოვანი კახეთიდან

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა დისტანციური სწავლების პროცესში ბავშვების ჩართულობის კუთხითაც: „ჩემი არასრულწლოვანი შვილი საერთოდ არ შედის ონლაინ გაკვეთილებზე. კვირაში ერთხელ ან ორჯერ ესწრება მხოლოდ. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ არ ესწრება ონლაინ გაკვეთილებს, მიპასუხა, რომ ძალიან რთულია ონლაინ გაკვეთილები და არც საინტერესოა მისთვის“.

შინამეურნეობის წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთიდან

„...პანდემიამ ხელი შეუწყო ბავშვთა მიმართ ძალადობის გაზრდას, იქნება ეს აღზრდის მიმართულებით, თუ იმ არასასურველი პრაქტიკის გამოყენებით, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ {იგულისხმება ბავშვთა შრომა}, რადგან ბავშვი მოწყვეტილია სასწავლო პროცესს პირდაპირი დასწრების გზით და ონლაინ ჩართულობა არის ძალიან დაბალი“.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გურიიდან

აქვე აღსანიშნავია აჭარის მაგალითიც, რომელზეც რესპონდენტი აცხადებს, -

„ვიკვლევდი აჭარის რეგიონში სკოლა-პანსიონების აღსაზრდელთა საჭიროებებს და გამოვლინდა, რომ გამოვკითხეთ 250 რესპოდენტი და აქედან 70 პროცენტი სასკოლო პროცესში ვერ ერთვებოდა, ნუ იმ ჩართულობას, რასაც ისინი ასახელებდნენ, ამას ვერ დავარქმევთ სრულ ჩართულობას. რა თქმა უნდა, დგებოდა იმის ეჭვი, რომ მთელი დღის განმავლობაში, მაშინ როცა ამ ბავშვებს არა აქვთ ინტერნეტი, ჩართული არიან შინ შრომაში მსხვილფეხა საქონლის გარეკვა საძოვრებზე და სხვ.“.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გურიიდან

პრობლემაზე რეაგირების ზომად განიხილება, პედაგოგის მხრიდან მოსწავლის მიერ გაკვეთილის გაცდენის აღრიცხვა; თუმცა, რიგ საქმეებში, პედაგოგები „მაღავენ“ მოსწავლეების მიერ სკოლის გაცდენას და საკლასო ურუნალებში ყოველთვის არ აღრიცხავენ. მოქმედი მექანიზმით, მოსწავლის სტატუსი

წყდებაზედღეზედ 90 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში და ირიცხება სკოლიდან.<sup>44</sup>

*„როდესაც იტვირთება ქალაქი, სოფლები ტურისტებით, როდესაც რესტორნები, სასტუმროები დატვირთვები არიან, ისინი როგორც იაფ მუშახელს, ესე მოიაზრებენ ამ პატარა გოგობიჭებს. გაცდენების მიზეზი, როგორც წესი, ესეც არის. არის შემთხვევები, როდესაც გაკვეთილზე მოსწავლეს ეძინა, იმიტომ, რომ ის წინა დღეს გვიანობამდე მუშაობდა, მე ვვულისხმობ სასტუმროებს და რესტორნებს, სადაც ეს ბავშვები ჩართულები არიან. თუმცა ამის შესახებ მოსწავლესაც ერიდება, რომ გაგიზიაროს, იმიტომ რომ ეს სამსახური მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, როგორც შემოსავლის წყარო, უფრო ხილდება, ურჩევნია, რომ მოკლედ დამალოს ეს ინფორმაცია“.*

*პედაგოგი კახეთიდან*

ჩამოთვლილი შემთხვევები ნათლად წარმოაჩენს, შრომის გამო რამდენად ხშირი და მასშტაბურია სკოლის გაცდენის/მიტოვების ფაქტები და ბავშვებს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის შესრულების გამო, რამდენად ეშლებათ ხელი სრულფასოვანი და ხარისხიანი განათლების მიღებაში.

სწავლის მიტოვების საკითხის პრობლემურობაზე ასევე მიუთითებს სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში.<sup>45</sup> ამ ანგარიშების თანახმად, სრულყოფილად არ აღირიცხება სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, შესაბამისი მიზეზების მითითებით, რის გამოც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მასშტაბებს ვერ ასახავს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2020 წელს სამუშაოს დაწყების მიზეზით სწავლა 293-მა არასრულწლოვანმა მიატოვა.<sup>46</sup> რეგიონულ ქრთმში, ამ მიზეზით, სწავლის მიტოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთსა და ქვემო ქართლზე მოდის, თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფის შეხვედრები აჩვენებს, პედაგოგები ხშირად არ აღრიცხავენ სკოლის გაცდენის ფაქტებს, რაც მონაცემების არასანდოობაზე მიუთითებს.

### 3.7. კოვიდ 19-ის გავლენა ბავშვთა შრომაზე

კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური კრიზისი არასრულწლოვნებსა და სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვიან ოჯახებზე განსაკუთრებით მწვავედ აისახება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 66 მილიონამდე ბავშვი მსოფლიოს მასშტაბით, შეიძლება პანდემიის გამო უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩნდეს.

გაეროს ბავშვთა ფონდი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობენ იმ ძირითად მიზეზებზე, რომელთა გამოც ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული პანდემია კიდევ უფრო გააღრმავებს ბავშვთა შრომის ნეგატიურ პრაქტიკას სხვადასხვა ქვეყანაში. პირველ რიგში, პრობლემაა შეფერხება განათლების მიღებაში: დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შედეგად, ბავშვები შეიძლება უფრო მეტი დროით დაკავდნენ საშინაო შრომით. შინამეურნეობებმა, რომელთაც კრიზისის შედეგად დაკარგეს შემოსავლის წყარო, შეიძლება უფრო აქტიურად დაიწყონ ბავშვთა შრომის გამოყენება. ბავშვები ეთნიკური უმცირესობების ან სხვა მარგინალური ჯგუფებიდან, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, უსახლკარო, დევნილი და ლტოლვილი ბავშვები განსაკუთრებით დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

44 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა, რომ იგეგმება 90 სასწავლო დღის 45 დღემდე შემცირება, რათა უფრო გონივრული ვადა მოქმედებდეს პრაქტიკაში.

45 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ol1a8D> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021].

46 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი №MES 1210000075489, 08/02/2021.

ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სახლთან მიჯაჭვულობის პირობებში გაიზრდება წნეხი გოგოებზე, რათა ისინი ჩაერთონ სახლის საქმეებში.<sup>47</sup>

### 3.8. სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობა

ბავშვთა შრომის, განსაკუთრებით კი, შრომის უკიდურესი ფორმების შემთხვევები, სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან მოითხოვს მომეტებულ ძალისხმევას, რეაგირების ეფექტიანი და ადეკვატური მექანიზმების შემუშავებას.

შრომაში ჩართული ან/და შრომითი საქმიანობის შედეგად დაზარალებული არასრულწლოვნებისთვის ეროვნულ დონეზე ფუნქციონირებს ორი თავშესაფარი, რომლებიც 24-საათიან სერვისს უწევს ბენეფიციარს და განკუთვნილია როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირებისთვის; მომსახურების ფარგლებში თავშესაფარში განთავსებული არასრულწლოვნებისთვის გათვალისწინებულია ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და იურისტის მომსახურება; აქ ირიცხებიან უმეტესად 10 წელს ზემოთ ასაკის ბავშვები და სრულწლოვანი პირები, თუმცა გამონაკლისის სახით და დროებით 10 წლამდე ასაკის ბავშვებიც შეიძლება ჩაირიცხონ, სანამ მათ სათანადო ზრუნვის სერვისში განათავსებენ.<sup>48</sup>

შრომითი ტრეფიკინგის დაზარალებულ პირებზე გათვალისწინებულია 1000 ლარიანი საკომპენსაციო თანხა.<sup>49</sup>

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებულ მიმართვებზე პირველად რეაგირებას სამუშაო დღეებში ახდენს მობილური ჯგუფები, რომლებიც შედგება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, თანასწორგანმანათლებლისა და მძღოლისგან, თუმცა მობილური ჯგუფები ყველა დიდ ქალაქში არ ფუნქციონირებს (ფუნქციონირებს 3 ქალაქში - თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში). მობილური ჯგუფები არ ფუნქციონირებენ ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა ბათუმი, ქობულეთი, თელავი, ახალციხე და ა.შ; თუმცა ამ ქალაქებში, განსაკუთრებით კი, სეზონურად ბათუმში, საკამოდ მწვავე და პრობლემურია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხი.

მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკები და მობილური ჯგუფის სხვა წევრები აქტიურად არიან ჩართულები ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან მუშაობის პროცესში. ველზე მუშაობის პროცესში ან/და შემოსული შეტყობინების საფუძველზე, ისინი ცდილობენ მოახდინონ პირველადი იდენტიფიცირება და მოიპოვონ ინფორმაცია მათი ოჯახების, მზრუნველი პირების შესახებ; რთულ პროცესია მათი ნდობის მოპოვება და ურთიერთკავშირის დამყარება. ამ მიმართულების სოციალური მუშაკები ხშირად აწყდებიან მრავალ პრობლემას, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში, ოჯახები ხშირად არ თანამშრომლებენ სპეციალისტებთან, მათთან გართულებულია პროფესიული ჩარევა.

ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებს მიუსაფარი ბავშვებისათვის არსებულ თავშესაფრებსა და დღის ცენტრებს სთავაზობენ. თუმცა, ეს პრევენციისა და რეაბილიტაციის ეფექტიან საშუალებად ვერ ჩაითვლება, რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვები კვლავ ქუჩას უბრუნდებიან და განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას. მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო ამ პროცესში თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებთან და ასევე, იუსტიციის სამინისტროს ბაზაზე არსებულ ბავშვთა რეფერირების ცენტრთან. ერთობლივად, ინტერსექტორული შეხვედრების ქრილში ხდება ინდივიდუალური

47 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3pjAiaf> [ბოლოს ნანახია: 20.01.2021].

48 მაგალითად, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა, მცირე საოჯახო ტიპის სახლების სერვისი.

49 მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განცხადებით.

შეფასება და საჭიროებების გამოვლენა.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან ახორციელებს ინტერვენციას სხვადასხვა სპეციალისტის ჩართულობით. შემთხვევაზე პირველადი ინტერვენცია, არასრულწლოვნის უსაფრთხოების დაცვა, ზრუნვის ფორმის განსაზღვრა (საჭიროების შემთხვევაში), დამხმარე სპეციალისტების ჩართვის საჭიროება, მხარდაჭერისა და გაძლიერების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, პროფესიულ ანალიზს ეფუძნება. სოციალური მუშაკები სხვა მონაწილე სპეციალისტებთან ერთად აფასებენ არასრულწლოვანს, მის ოჯახსა და გარემოს, იყენებენ ჰოლისტურ და სისტემურ მიდგომებს, იკვებება როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, ფასდება და მუშავდება სამოქმედო გეგმა. არასრულწლოვნისათვის მიყენებული ტრავმიდან და სარეაბილიტაციო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, თითოეულ შემთხვევაზე ინდივიდუალურია ინტერვენციის საჭიროება და შესაბამისად, ხანგრძლივობაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა და დამხმარე ინსტრუმენტების შექმნა, რომლებიც მორგებული იქნება პრევენციულ კომპონენტზე, გაძლიერებს სათემო მომსახურებებს და რეაბილიტაცია/ინტეგრაციის პროცესს.

ამ სფეროში სახელმწიფოსა და მუნიციპალური უწყებების ზედამხედველობისა და მომსახურების ბერკეტები განსაკუთრებით პრობლემურია შემდეგი მიმართულებებით:

- შრომის მძიმე, უკიდურესი ფორმების რისკების, პრობლემის/გამომწვევი ფაქტორების დროულად გამოკვეთა, შემთხვევების გამოვლენა და შრომაში ჩართული ბავშვების ვინაობის დადგენა;
- გამოვლენილ შემთხვევებზე ეფექტიანი და სათანადო რეაგირება, მსხვერპლი ბავშვების საჭიროებების შეფასება და მათი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა, მულტიდისციპლინური მიდგომის მეშვეობით; ამ კუთხით ეფექტიან მუშაობას აფერხებს ის ფაქტორებიც, რომ მეურვეობა-მზრუნველობის ადგილობრივი წარმომადგენლობის ორგანოებში კვლავ პრობლემაა სოციალური მუშაკების გადატვირთულობა, არსებული რესურსის სიმცირე; ასევე, ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, საჭიროებებზე მორგებული და მეგობრული ფიზიკური გარემოს შექმნის პრობლემები;
- მდგომარეობის შემდგომ განვითარებაზე დაკვირვება და შეფასება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დასაზუსტებელია, დაუბრუნდა თუ არა შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვი სასწავლო პროცესს; ეფექტიანად მიმდინარეობს თუ არა მისი სოციალური ინტეგრაცია, უზრუნველყოფილია თუ არა ბავშვის ჯანმრთელობის საჭიროებები და კვლავ ხომ არ იკვებება განმეორებითი რისკები შრომით საქმიანობაში ჩართვასთან დაკავშირებით.

ბავშვთა შრომის სფეროში ასევე საკმაოდ მწირია მუნიციპალური რესურსები. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კონკრეტული სერვისები ან პროგრამები, რომლებიც მუნიციპალურ დონეზე ბავშვთა შრომის პრევენციის ან შრომის გამომწვევი ფაქტორების აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს, არასაკმარისია. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსიდან გამომდინარე, ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, ცალკეულმა მუნიციპალიტეტებმა აქტიურად დაიწყეს ამ კუთხით მუშაობა. გამოიყო სპეციალური კადრი, რომელიც ადგილობრივ დონეზე ბავშვთა დაცვის მხარდაჭერს სისტემას გაუწევს კურირებას, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში; მაგალითად, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივ დონეზე არასრულწლოვანთა საჭიროებების შესწავლასა და მათ დახმარებაზე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

## დასკვნა

კვლევის შედეგები მიგვითითებს, რომ ბავშვთა შრომა საქართველოში მწვავე და აქტუალური საკითხია. ეს პრობლემა არასაკმარისადაა შესწავლილი და საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას. ემპირიული მონაცემების ნაკლებობასთან ერთად, პრობლემურია ის საკითხიც, რომ ქართული კანონმდებლობა სრულად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ბავშვებს კიდევ უფრო მონყვლადს ხდის ბავშვთა შრომაში ჩართვის თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ საქართველოში ბავშვები სიღარიბის, ცხოვრების არასათანადო დონისა თუ სხვა ფაქტორების გამო, სხვადასხვა შრომით აქტივობებში არიან ჩართულნი, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვის ძირითადი უფლებების რეალიზებას, მათ შორის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, განვითარების, თავისუფალი დროისა და დასვენების ხელშეწყობას. მცირე და არასაკმარისია ასევე ბავშვთა შრომის სფეროში მოქმედი სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისები; არაეფექტიანი რეაგირების მექანიზმის გამო, ბავშვები ვერ სარგებლობენ საჭირო მომსახურებით.

## რეკომენდაციები

### საქართველოს პარლამენტს:

- საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსში უფრო დეტალურად გაიხიროს არასრულწლოვანთა სამუშაო საათებისა და შესვენების მარეგულირებელი ნორმები;
- გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო სტანდარტები არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთათვის ზეგანაკვეთური სამუშაოს დაკისრების შესაძლებლობას, გადაიხედოს ეროვნული კანონმდებლობა და შესაძლებლობის შესაბამისად, შეიზღუდოს ბავშვისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს დაკისრება, რომელიც შეესაბამება მოდის საერთაშორისო სტანდარტთან;
- განისაზღვროს დამსაქმებელთა დამატებითი ვალდებულებები არასრულწლოვანთა დასაქმებასთან მიმართებით, როგორცაა, მაგალითად, რეესტრის წარმოება, ზრუნვა სამუშაო პირობების უსაფრთხოებაზე, რისკების შეფასება და დასაქმებული არასრულწლოვანის შესაბამისი ინსტრუქტაჟი.



### საქართველოს მთავრობას:

- ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაბამისად, ცენტრალურ დონეზე შემუშავდეს ბავშვთა შრომის სფეროს მომხსარიგებელი პოლიტიკის დოკუმენტი და რელევანტური ინსტრუმენტები, პრაქტიკაში ეფექტიანად განსახორციელებლად, როგორც მუნიციპალიტეტებისთვის, ისე - სამთავრობო უწყებებისთვის.
- ბავშვთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხების სათანადოდ ასახვის მიზნით, გადაისინჯოს ეროვნული საკანონმდებლო ნორმები, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრების, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების როლის გაძლიერების მეშვეობით; ბავშვთა შრომის პრევენციისთვის, მოხდეს ჯანდაცვის რისკების შეფასების დოკუმენტის შემუშავება სამუშაო ადგილებზე ბავშვთა მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი ზემოქმედებისაგან დასაცვად.

### სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- ბავშვთა შრომის შემთხვევებთან დაკავშირებულ მომართვებზე განხორციელდეს ეფექტური და ქმედითი რეაგირების ღონისძიებები, მათ შორის დროულად მოხდეს თითოეულ შემთხვევაზე ეფექტური სარეაგირებო ზომების მიღება, დაზარალებული არასრულწლოვნის იდენტიფიკაცია და საჭიროების შესაბამისად, რეფერირება პასუხისმგებელ უწყებასთან ან/და ფსიქოლოგთან;
- კომპეტენციის ფარგლებში, დაიგეგმოს პრევენციის და აღმოფხვრის ქმედითი ღონისძიებები ბავშვთა შრომის შემთხვევებზე; მათ შორის, მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, ინდივიდუალურად შეფასდეს შრომაში ჩართულ ბავშვთა საჭიროებები, ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს შრომის მძიმე ფორმების შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვანთა მდგომარეობაზე ზედამხედველობას, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მონაწილეობით;
- კოვიდ 19 პანდემიის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს რისკ ჯგუფში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე, მათი სოციალური გაძლიერების მიმართულებით.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გაძლიერდეს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესზე ზედამხედველობა და გაცდენების ზუსტი აღრიცხვა;
- უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვთა შრომის საფუძვლით საგაკვეთილო პროცესის გაცდენების რეფერირება;
- დაიგეგმოს ბავშვთა შრომის, განსაკუთრებით კი, შრომის უკიდურესი და მძიმე ფორმების პრევენციის საინფორმაციო კამპანიები;
- სკოლის საგაკვეთილო ბაღეში, კლასის დამრიგებლის საათების ან/და დამოუკიდებელი აქტივობის სახით, სასწავლო მიმართულებად ასევე განისაზღვროს ბავშვთა შრომის საკითხები.

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- არასრულწლოვანთა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში სავარაუდო შემთხვევებს, ბავშვთა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო ფაქტებს, განხორციელდეს დროული, ყოველმხრივი და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, პრევენციისა და რეაგირების მიმართულებით.

